



La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
DÉCEMBRE
1928—№ 36

დეკემბერი
1928 წ.
№ 36

დასავლეთკავკასიელი საზოგადოებრივი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ე .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მოსკოვის დიპლომატია.
ილია ნუცუმიძე—საით მიდიან?
გიორგი გვახავა—ჰერბერთ ჰუვერ.
დ. შ. ფრანგული წიგნები საქართველოზე.
მუსტაფა ჩოკაევი—თურქესტანში. წერ. მესამე.

უკრაინა და რუსეთი.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ქართველები საფრანგეთში.
სტ. გიორგი კახიანი. და სხვ.
«დამ. საქართ.»-ს 1926—28 წლების სარჩევი.

მ ო ს კ ო ვ ი ს დ ი პ ლ ო მ ა ტ ი ა .

საბჭოთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წლიური სხდომები, როგორც მიღებულია სხვა უფრო წესიერ ქვეყნებში, «სეფ სიტყვით» გაიხსნა. მისი წარმომთქმელი არ იყო საბჭოთა კავშირის «პრეზიდენტი» კალინინი, არც ფაქტიური დიქტატორი ჯუღაშვილი—სტალინი, არამედ გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილე ლიტვინოვი. საგულისხმოა მოვლენა თავის თავათ, თუმცა მარტო დღეს არ ვხედავთ, რომ რუსის სვე-ბედს არარუსი განაგებდეს.

ლიტვინოვი მიმოიხილავს კავშირის დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან და იწყებს ასე: წელიწად ნახევარია ინგლისმა გასწყვიტა ჩვენთან დამოკიდებულება; თუ კონსერვატიულ მთავრობას სამი მიზანი ჰქონდა დასახული: 1) ჩავეყენებოდა ისეთ ნივთიერ მდგომარეობაში, რომ იძულებული გავხადოდა მისი კარნახი მიგვეღო; 2) დაეცა ჩვენი პრესტიჟი მახლობელ აღმოსავლეთში და 3) თავის მაგალითით მოეხდინა ჩვენი იზოლიაცია სხვა სახელმწიფოებისაგან,—მან ვერ მიაღწია ვერც ერთს. ინგლისის მინისტრები ლაპარაკობენ, რომ დამოკიდებულების აღსადგენათ თაოსნობა საბჭოებისგან უნდა გამოდლოდეს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორც შეხვედებიან ისინი მას. ყოველ შემთხვევაში—უწვრილებს ხმას ლიტვინოვი—საბჭოთა მთავრობა არ ებუება «ბურჟუაზიულ ფორმასა და ეტიკეტს», ასე რომ მე უკვე ავიღე უენევაში ჩემბერლენის წინაშე ეს თაოსნობა, მხოლოდ მან «ხვალინდელი კითხვების მაგიერ გუშინდელისაზე» ჩამომიდგო ბასი.

სწორედ ისე, როგორც ამ დღეებში თემთა პალატაში: ლიტვინოვის სიტყვას ცვლილება არ მოუხდენია ჩვენს პოლიტიკაში—უპასუხა ჩემბერლენმა ერთ შეკითხვაზე. დააკვირდით ამ ორ შეუთვისებელ დებულებას: ინგლისმა ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღ-

წია, მაგრამ თაოსნობა მაინც ჩვენ ვიკისრეთ და მან კი ზედაც არ შემოგვხედაო! აქედან ზამნარკომის სიანხლევ (ინგლისის გამოლაშქრებანი, ინტრიგები, მახეები), რომელიც მომდინარეობს კიდევ იმ დროდან, როცა ლიტვინოვი კინწის კვრით გააძევეს ლონდონიდან.

სხვა კილოთი ლაპარაკობს ლიტვინოვი საფრანგეთის შესახებ: პუნკარემ განაცხადა—ამბობს ის—როცა დამტკიცდება საბჭოთა მთავრობის თანხმობა განიარაღებაზე, პირობას ვიდლები მის მაგალითს მივყვე. ვიღებ საჯარო ვალდებულებას, საბჭოთა მთავრობის სახელით, რომ განვიმორებ ჩვენს წინადადებას უენევაში, სრული განიარაღებისკენ მიმართულს. ჩვენ გავიგეთ იმავე უენევიდან ბრიანის «სრულიად მოულოდნელი და დაუჯერებელი განცხადება», ვითომ წითელი ჯარი აპროვლებდეს განიარაღებას. იმავე დროს ჩვენ დღემდე ამაოთ ვუცდით ბრიანის პასუხს კიდევ რაკოვსკის მიერ გადაცემულ წინადადებაზე თავდაუსხმელობის და ძველი ვალეების შესახებ.

რაც მართალია, მართალია. რუსეთ-საფრანგეთის კონფერენციამ ჩაილულის წყალი მიირთვა და მისი თავმჯდომარე ბოლშევიხანი დემონში გერმანიასთან ახალ ფრონტს აწყობს მოსკოვის მოსაშინაურებლათ. რაც შეეხება ლიტვინოვის «საჯარო ვალდებულებას», ეს ალბათ არ სმენიათ პარიზში, თორემ «საჯაროთ» გადინარხარებდენ.

საფრანგეთიდან ლიტვინოვი მის მოკავშირე პოლონეთზე გადადის. პოლონეთი—ამბობს ის—არ გვიღებს თავდაუსხმელობის, არც სავაქრო ხელშეკრულებას და მიზნად ის მოჰყავს, რომ ჩემი ვალდებულება ერთა ლიგის მიმართ არ უნდა შეიბღალდეს და არბიტრაჟიკი უიღვე უნდა შევიტანოთ, მაგრამ ამ მიზნმა როდი შეუშალა მას ხელი კელოვის პაქტი.



მიელ, თუმცა შეერთებული შტატები ერთა ლიგაში არ შედის.

წრის გადასვლა ასეთი უნდა: კელოგი და ლიტვინოვი, შეერთებული შტატები და დღევანდელი რუსეთი!

პოლონეთისა და მის მოკავშირე რუმინიის მთავარი შტატები განუწყვეტელ თათბირში არიან საფრანგეთის სამხედრო წრეებთან დაკავშირებით—სწივის ლიტვინოვი. ის ბესარაბიასაც არ ივიწყებს, რა თქმა უნდა, რომლის ბედი მცხვრებათა «ინტერესების და სურვილის თანახმად» უნდა გადითქრას.

ეს კი უმაგალითო ცინიზმა: ბესარაბიასთვის მოითხოვენ თვითგამორკვევის უფლებას, ხოლო საქართველოს გამორკვეული და მათ მიერვე ცნობილი უფლება ფეჩქევმ გასთელეს და სთელავენ!

ლიტვინოვი უკმაყოფილოა ბალტიის რესპუბლიკებით და ფინლანდიით, რომელნიც დიდ ნდობას არ იჩენენ მოსკოვის მიმართ. ჩვენ ბეჯითათ ვადვენებთ თვალყურს—ამბობს ის—, რომ ამ რესპუბლიკებმა შეინარჩუნონ «სავსებით, ფორმალურად და ფაქტიურად» დამოუკიდებლობა. ასევე ვექცევით ლიტვა და პოლონეთის დავას და ხელს ვუწყობთ მათ მორიგებასა.

გამოდის, ბალტიის რესპუბლიკებს ემუქრება ვილაც სხვა და არა მოსკოვი, ან კიდევ ვითომ არ ხედვენ უკანასკნელის ხელს კოვრში!

მაგრამ არიან სახელმწიფოები, რომელთა კარგი დამოკიდებულება საბჭოებთან, მიუხედავად ეკონომიურ სისტემათა სხვადასხვაობისა, დღითიდღე მტკიცდება—იწვეს ხმას ლიტვინოვი—და სანიმუშოთ გერმანიასე მიუთითებს. მართალია, აქაც შეხედებით «როგორც ოფიციალურ, ისე საზოგადოებრივ წრეებში მტრულ ნაბიჯებს ჩვენს მიმართ»—ვერ იკავებს თავს ლიტვინოვი—, და კიცხავს გერმანელ ბანკირებს, რომელნიც, წინააღმდეგ რაბალის ხელშეკრულებისა, რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო ასოციაციას შეუერთდნენ ლონდონში.

მართლაც «სანიმუშო» დომხალი! გერმანიის ტაქტიკა, გამოიყენოს «მეგობრობა» მოსკოვთან, როგორც კოზირი ყოფილ მოკავშირეთა მიმართ, დღესაც ვერ შეუგნია კრემლის დიპლომატს.

იტალიაზე ლიტვინოვი ერიდება მრავალსიტყვიან და მორცხვად აცხადებს, რომ არა გვაქვს საბაბი უთანხმოებისა, თუმცა ჩვენი დამათი რეჟიმი ისე განირჩევა ერთმანეთისგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

არრას ამბობს ერთი პარტიის დიქტატურაზე...

გათავაზა ვეროპა, ლიტვინოვი აზიას სწედება და პირველ რიგზე აღნიშნავს «გულითად და მუდრო დამოკიდებულებას» ოსმალეთთან, შემდეგ ავღანისტანის პადიშახის სტუმრობას მოსკოვში და მეგობრულ განწყობილებას სპარსეთთან. ის იძულებულია ჩინეთსაც შეეხოს და ტყდება, რომ ნანკინის მთავრობა ჩან-სო-ლინის ზახს განაგრძობს, რაიც გამოიხატა ჩვენ საელჩოზე თავდასხმაში. მოწიწებით ასხენებს ლიტვინოვი იაპონიას, მაგრამ მანჯურიის მაგიერ,

რაზედაც საცაა მთლათ ხელს დააბანიებენ საბჭოებს, თვეზის დაჭერის კონვენციასე იბრუნებს სულს.

განსაკუთრებულ რიდსა და სითავაბლეს იჩენს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავთ—იწვეს ლიტვინოვი—ეკონომიურ დამოკიდებულების ზრდას ჩვენსა და შეერთებულ შტატებ შორის. ჩვენს წინააღმდეგ მონტრიგე სახელმწიფოთა შორის ჩვენ არასდროს არ ვვიხილავს ატლანტის იქითა რესპუბლიკას; პირიქით ჩვენ გვაპურება მისი ორგანიზაცია არა, შიმშილის დროს, და მის სათავეში მომავალი პრეზიდენტი ჰუფერი იდგა. ჩვენ ნაკლებ გვანტერესებს «ადვოკატური» კითხვა, ნიშნავს თუ არა კელოვის პაქტზედ ხელის მოწერა ამერიკის მიერ ჩვენს ცნობას; «სასაცილოცაა» ამაზე ლაპარაკი საბჭოთა არსებობის მე-12 წელს, თუმცა ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს მწუხარებას, რომ არა ვართ მისგან ცნობილი.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ არ ვნანობთ, იმდენათ სასარგებლოთ მიგვაჩნია მკითხველისთვის ახლო დაუფიქრდეს მოსკოვის საგარეო პოლიტიკას, მისივე პასუხისმგებელი ზამნარკომის გადმოცემით. ჩვენ ვერ მივსდევთ, ცხადია, ფეხდაფეხ ლიტვინოვის ნახტომებს, და ეს არცაა საქირო, რადგან მოსკოვის სიტყვა ერთია, საქმე კი მეორე. ის, რასაც იტყვის საგარეო კომისარიატი, სრულიად არ ფარავს პოლიტიკურს და მის ხელქვეით კომინტერნის ზნელ საქმეებს, ხოლო უცხო სახელმწიფოთა უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზი სწორეთ ეს უკანასკნელია. ლიტვინოვი ვითომ ვერ ამჩნევს ამას, არც კი ენება ეგრ წოდ. პრეზიდენტს, რომლის აღკვეთას უცხოეთი მოითხოვს. მეორე მხრით, განიმეორებს ათას პირველჯერ, რომ კომინტერნი სხვაა და კომინტელი სხვა, იმის ჭკუა კიდევ შეჩენია მიხვდეს, რომ სიტუტუცესაც თავისი სახლვარი აქვს.

ისევ დარჩენია «შეიარაღებულ თავდასხმას» და აწვეს, რომელიც ვითომ საბჭოთა კავშირზე მხადდება, და მით არაპირდაპირ აღიარებს კიდევ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. ბრძოლა კავშირის წინააღმდეგ—ამბობს ის—არასოდეს არ შეწყვეტილა, ის მხოლოდ სხვადასხვა ფორმას იღებდა: გუმინ ინტერვენცია და სრული ბლოკადა, დღეს ბოიკოტის და იზოლიაციის ცდა, ხვალ შეიძლება ისევ ინტერვენცია ან ომი.

ამრიგათ, ლიტვინოვი თვითონვე უკეთებს შესაბრალის ჯამს თავის «უწყების» ჭაპანწყევლას. მართლაც, თუ ყოველ მხრიდან ომითა და დავიდარებით იმუქრებიან, რისი მაქნისი იყო დიპლომატია; რატომ ვერ შესძლო მან გაეფანტა ეს საშიშროება? ლიტვინოვიც ცდილობს ამიტომ აღმოაჩინოს ნათელი წერტილები ზევიდან ჩამოწოლილ შავ ღრუბლებში.

და მან კიდევ აღმოაჩინა—უსა ამერიკა! ლიტვინოვი ასე მსჯელობს: ამერიკა არ არის ერთა ლიგაში, კავშირიც არაა; ამერიკამ წარმოადგინა კელოვის პაქტი, კავშირმა ხელი მოაწერა,—ამა ჩვენს მეგობრობას არაფერი უღდა წინაა. ვინაიდან ცნობის იმედით არა აქვს, ის ძალაუფლებურად ეკონომიურ მომენტს აწვება, და გაუბრბის ამასთანავე სტყვას, რომ ადემიკემობა ამერიკასთან ნაღდღზე სწარმოებს, რაიც დაშვებულია სხვაგანაც.



იყო ერთი შემთხვევა, როცა ამერიკის ერთმა საელექტრონო საზოგადოებამ, მომუშავემ წინეთ რუსეთშიც, თვალსაჩინო დაცვეთა მიიღო მოსკოვი-სგან მხოლოდ იმ პირობით, რომ დაშნადებული საქონლის ფასებში იმ ხარაღის ანაზღაურებაც უნდა შევიდეს უჩინრათ, რომელიც საზოგადოებას მოსვლია ოქტომბრის გადატრიალების წყალობით. ეს კონტრაქტი პრინციპიალური ხასიათისაა და მოასწავებს ნაციონალიზაციის დეკრეტის ნაწილობრივ გაუქმებას.

ჩვენ არ ვიცით, რას შეიცავს სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც იკვრის ამ უამად მოსკოვში გერმანიასთან. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში «ტასის» განცხადებას, რომ გერმანიის მოთხოვნებიანი «თითქმის უკლებლივ» მიღებულ იქნა, ადვილათ წარმოსადგენია, როგორ გვერდშენგრეული გამოვსა ამ აქტიდან ვნეშტორგი და საზოგადოთ საბჭოთა მთელი ეკონომიური სისტემა. ამას ჰქვია პირობების «კარანახი», რომელიც, თუ ლიტვინოვს დავუჯერეთ, ვითომ მარტო ინგლისს დაესახსო მიზნად.

ამრიგათ, თავი და თავი ის კი არ არის, აქვს თუ არა ვისმის მოლაპარაკება მოსკოვთან, არამედ, რა კარნახს იღებს უკანასკნელი უცხოეთისგან და არყვეს თუ არა იგი ძირიან-ფესვიანათ საბჭოთა რეჟიმს. დგება საბედისწერო ხანა საზოგადოთ მთელი «სოციალისტური აღმშენებლობისთვის»: ან უნდა დასთმონ იგი, ან უნდა ქვეშ მოექ-

ცენ მის ნანგრევებს. მესამე გამოსავალი არ არის. მაგრამ ამის შეგნებას ხომ ჰქუა სჭირია, რითაც სტალინი და მანი მისინ დიახაც არ ბრწყინავენ. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ საბჭოთა ვერ. წოდ. ევოლიუცია ესლა არავის სჯერა და მის მაგიერ რევოლიუციას ელიან.

ფრიად საინტერესოა, რომ ლიტვინოვმა ვერ გააკეთა პუანკარე-ბრიანის გამოსვლიდან ლოლიკური დასკვნა. ეს ალბათ მიეწერება იმ გარემოებას, რომ მოსკოვში კიდევ ოცნებობენ, მზგავსათ რუს ემიგრანტებისა, საფრანგეთის მონადირებაზე, ნეტერხსენებული ალიანსის წინ წამოხრით. ისინი ვერ მიმხვდარან, რომ 1924 წლიდან საფრანგეთმა აიღო სულ ახალი გეზი, როცა ის შეგნებულათ შეუდგა მეზობელ გერმანიასთან საერთო ენის გამონახვას. ამ დროდან საფრანგეთმა დასტოვა ფიქრი რუსეთთან კვლავ შეკავშირებისა, და მისი ადგილი პოლონეთმა დაიჭირა, რომელიც ასე არ უყვართ რუსებს... აქედან გასაგებია, თუ რატომ არ სთვლიან პუანკარე და ბრიანი საბჭოთა კავშირს საფრანგეთის მეგობრად და რატომ უყურებენ ისინი ასე უნდობლათ წითელ ჯარებს.

თქმულიდან აშკარაა მოსკოვის დიპლომატიის «მიღწევანი», საბჭოების არსებობის მე-12 წელს: უნდობლობის წრე ირგვლივ, მთელი მსოფლიოს გასწვრივ, პრესტიჟის უკიდურესი დაცემა და სრული გარიყვა საერთაშორისო კონცერტიდან.

ხ ა ი თ მ ი დ ი ა ნ ?

ბოლშევიკებმა თავის ბატონობის თერთმეტი წელი იღვსასწაულეს. ისინი ქვეყანას აყრუებენ ყიყინით სხვადასხვა ფრონტზე მრავალი «მიღწევების» შესახებ.

თერთმეტი წელი მართლაც საკმაოდ დროა, რომ წაქცეული ქვეყანა ფეხზე წამოდგეს და წარმატების გზაზე შედგეს, თუ მას მომავალი უღიმის, მაგრამ საბჭოთა რუსეთი ამ მხრივ მეტად უნუგეშო სურათს იძლევა,—იი ფაქტები:

უმუშავრობა. საბჭოების ეკონომიკა დღითი დღე უარესდება და მრავლდება საგრძობლათ უმუშავართა რიცხვი. პირველ ოქტომბერს 1927 წ. რიცხვი უმუშავართა იყო 1.500.000, პირველ იანვარს 1928 წ. კი მან მიაღწია 2.000.000. ეს ორი მილიონი უმუშევარი გატარებულია რეგისტრაციაში, უნდა ვიფიქროთ, რომ რეგისტრაციის გარეშეა დარჩენილი თვალსაჩინო რიცხვი უმუშავართა.

მოუსავლობა. უმუშავრობას ზედ ერთვის მოუსავლობა.

მიმდინარე წლის მაისში საბჭოების ქვეყანაში არ მოიძებნებოდა 250.000 ტონზე მეტი მომარაგებული ხორბალი, გვემის თანახმათ კი ის უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 716.000 ტონისა.

განათლება. 1913 წ. პირველდაწყების სკოლის მოწაფეზე იხარჯებოდა 32,12 ოქროს მანეთი, 1926-27 კი ველიკოროსიში იხარჯებოდა 19,63 ოქროს მან. და 14,83 უკრაინაში. კერძოთ, მასწავლებელი იღებ-

და 1913 წ. 18,58 ოქრ. მან. და 1926-27 წ. 16,63 მან.

რაც შეეხება წიგნებს და სხვა სასკოლო ნივთეულობას, 1913 წ. მათე იხარჯებოდა 6,57 თითო მოწაფეზე, 1926 წ. 0,96 მან.

პიგიენა. 1925-26 წ. დაიხარჯა თითო ავადმყოფზე 51,3 პროც. ომის წინ დახარჯულ თანხისა. ექიმები იღებდენ 1926-27 წ. 37,3 პროც. იმისა, რასაც ისინი იღებდენ იმის წინ. დაბალი საექიმო პერსონალი იღებს 58,7 პროც. ომის წინა თანხისას.

თითო საბეითლო სექციისათვის იხარჯება დღეს 34,7 პროც. იმისა რაც იხარჯებოდა ომის წინ.

გზები. 1913 წ. თითო კილომეტრზე იხარჯებოდა 1.390,7 და 1926-27 წ. კი 329,0.

ჯარი. 26 პროც. საბიუჯეტო ხარჯებისა მიდის ჯარზე (მეტი ვიდრე წინად).

ალკოლიზმი. საბჭოთა ხელიუფლებად აღადგინა მონოპოლია არაყის და აქედან შემოსული თანხა უდრის 640 მილ. ჩერ. მანეთს წლიურათ. ალკოლიზმი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. 1924-25 იქნა გამოხდილი 49 მილ. ლიტრა არაყი, 1925-26 წ. 245 მილიონი ლიტრა, 1927-28 წ. კი 456 მილ. ლიტრა.

დატუსაღებულ იქნა სიმთვრალისათვის პეტერბურგში 1922 წ. 2.088 კაცი და 1925 წ. 21.000. მოსკოვში, 1926 წ. სიმთვრალისათვის დატუსაღებულ იქნა 100.000 კაცი, აქედან 80 პროც. მუშა.

თვითმკვლელობა. საბჭოების ოფიციალური სტატისტიკა შემდეგ ცნობებს გვაწვდის თვით-

მკვლევლობის შესახებ რუსეთში: თავი მოუკლავს 1923 წ. 4.265 კაცს; 1924 წ. 5.058; 1925 წ. 6.338 კაცს; 1926 წ. 6.417. წლოვანების მიხედვით თვითმკვლელები ასე ნაწილდებიან: 1922-25 წ. 396 კაცი 15 წლ. ქვეით; 4.755 კაცი 16-24 წ.; 3.424 კაცი. 25-40 წ. 2.978 კაცი 40 წ. ზევით.

ზემო მოყვანილ ცნობებიდან აშკარაა, რომ საბჭოების «სამოთხეში» ცხოვრების პირობები აუტანელია. ამ გარემოებას, ბუნებრივად, გავლენა უნდა ქონდა მშრომელთა მასების ფსიქოლოგიაზე.

აი, რას მოგვითხრობს ბოლშევიკების ოფიციალური დოკუმენტი ამის შესახებ: «არა მარტო შარშან, პურის დამზადების დროს, არამედ ახლაც კულაკები ხშირად ცდილობენ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ საბჭოთა მუშაობას, ამავე დროს ხანდახან ერთვარ გავლენასაც ახდენენ საშუალო გლეხობის სხვადასხვა ნაწილზე. კულაკების ეს წინააღმდეგობა ზოგჯერ იმაში გამოიხატება, რომ აშკარათ თავს ესხმიან საბჭოთა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაეს— (გლეხკორებს, საბჭოთა მუშაობის ხელშეწყობას), ხოლო ზოგჯერ ცეცხლს უკიდებენ მათთვის არა სასურველი ელემენტების ქონებას, აფუჭებენ საზოგადოებრივ მანქანებს და სხვ.» (საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვა ეროვნული კომპარტიების ცენტრს. კომიტეტებს, საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს) (კომ. 26 ოქტ. 28 წ.).

ეს დოკუმენტი კატეგორიულად აცხადებს, რომ მდგომარეობა სოფლათ მეტად კრიტიკულია, რომ იქ ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედება ფართო და მწვავე ხასიათს იღებს, რომ უკმაყოფილო ელემენტები ხოცვენ ხელისუფლების ადგილობრივ აგენტებს და ცეცხლს უკიდებენ მათ ქონებას.

ბუნებრივი მოვლენაა დიქტატორულ რეჟიმში! აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება ბოლშევიკების ბატონობის თერთმეტი წლის თავზე.

არც ერთი ნაბიჯი წინ, არც ერთი აქტი რაიმე იმედის მომგვრელი მომავალში!

ამ უიმედო მდგომარეობამ, ბუნებრივად, დაბადა კომუნისტურ პარტიაში ეგრეთ წოდებული «მემარჯვენე ელემენტები». ამათი აზრით «სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია განუხორციელებელი ოცნებაა; რომ საჭიროა მორიდებით მოვეკიდოთ კულაკებს, საჭიროა გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, მისი შერბილების მიზნით და სხვა» (კომ., 11 ნოემბერი 28 წ.).

ლენინმა თავიდანვე განაცხადა, თუ ევროპა დროზე არ მოგვეშველა, ჩვენი საქმე წაგებულა. დღეს უკვე აშკარაა, რომ ევროპა ბოლშევიზმისაგან დაწვეულია. ჩამორჩენილი აღმოსავლეთიც კი, სადაც ბოლშევიზმისთვის ობიექტიური პირობები თითქმის უფრო ხელსაყრელი იყო, ცუდი მასინძელი გამოდგა კომინტერის აგენტებისათვის.

ლენინი დიდი ოპორტიუნისტი იყო. კონკრეტობის მორჩილი, იარაღი და არა მისი ხელმძღვანელი. «წითელი ოქტომბერი» უდიდესი ოპორტიუნისტული აქტია და არა რევოლუციონური, როგორც ამას ბოლშევიკები და მისი თანამგზავნი ლაღადებენ.

«ოქტომბრის» შემდეგ შექმნილი ვითარებანი მისი აშკარა უარყოფაა. ეს ახალი გარემოება ახალ პოლიტიკას ითხოვს.

ლენინი დღევანდელ ვითარებაში, როგორც დიდი ამპლიტუდის კაცი, ალბათ, ახალი სიურპრისის მოწმისთი გაგვხდის.

მისი მემკვიდრენი კი ისევე რუტინით არიან შეპყრობილნი. მაგრამ სინამდვილე ისე მწვავეა, მარცხი ყველა ხაზზე ისე აშკარაა, რომ მისი მიფუჩეჩება შეუძლებელი ხდება, მით უმეტეს ხდება ეს შეუძლებელი, რომ მასები, როგორც ამას ზემომოყვანილი ბოლშევიკური ოფიციალური დოკუმენტი გადმოგვცემს, უკვე ამოქმედდენ, ხოცვენ ხელისუფლების ადგილობრივ აგენტებს და ცეცხლს უკიდებენ მათ ქონებას.

დღეს სამი მიმართულება არსებობს კომუნისტურ პარტიაში: მარცხნივ, მარჯვნივ და ცენტრი. სამივე მიმართულება ერთნაირად აფასებს მდგომარეობას, სამივე ცნობს მის სიმწვავეს, ხოლო გამოსავალს სხვადასხვა ზომებში ეძებენ. მემარცხენე ფრთა დღევანდელ უბედურებას იმით ხსნის, რომ კომუნისში პრაქტიკულ პოლიტიკაში წავიდა კომპრომისებზე და მით მისი მომხიბვლელობა, მიმხიბველობა და შინაგანი ძლივამოსილება შეიღობა, რამაც გამოიწვია მისი პრაქტიკული დამარცხება. საქმის გამოსასწორებლათ საჭიროა აშკარა და პირდაპირი კომუნისტური შეტევა ყველა ფრონტზე.—ან ინტეგრალური კომუნისში, ან სულ არა,—ამ მემარცხენეთ პოზიცია. მემარჯვენე ფრთა ამტკიცებს სულ წინააღმდეგს. სრული კომუნისზმის განხორციელება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. ეს ნათლათ დაავიწყდება თერთმეტი წლის გამოცდილებამ. საჭიროა ფართო კომპრომისული პოლიტიკის წარმოება (მორიგება გლეხებთან, გადასინჯვა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მისი შერბილების მიზნით და სხ.), თორემ იღუპება კომუნისში და მასთან ერთად ქვეყანაც. ცენტრის პოლიტიკა ეკლექტიურია. არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, ცოტა აქედან, ცოტა იქედან, ან ხან აქედან, ხან იქედან.

აზრთა სხვადასხვაობა, იდეურ მიმართულებათა ბრძოლა პოლიტიკურ პარტიაში მიუდა ყოფილა და იქნება, სანამ არსებობენ სხვადასხვა თავები. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა და ჩვეულებრივი, ნორმალურ პოლიტიკურ პირობებში, მას არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ვერ მიეცემა. სხვადასხვანაირათ აზროვნება და ერთნაირათ მოქმედება, მრავალი აზრი და ერთი ნებისყოფა,—ეს უფრო პარტიის სიჯანსაღეს ნიშნავს, ვიდრე მის დაავადებას, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა რუსეთის ბოლშევიკურ პარტიაში. იქ აზროვნება აკრძალულია, ისე როგორც აკრძალული ხილია ის მის გარეშე და იქ ყოველივე იდეური სხვადასხვაობა იწვევს, ბუნებრივად, თვით პარტიის კრიზისს. პირველი შეტევა პარტიის ოფიციალურ ხაზზე მარცხნიდან დაიწყო. ამ შეტევის მსხვერპლნი გახდნენ ტროცკი და მისი მიმდევრები. ზინოვიევი-კამენევი რაღაც «თავისებურათ» გაქრნენ. აქ უფრო პერსონალურ მომენტს (მათ პირად ურთიერთობას სტალინთან) უნდა ეთამაშა გადამჭრელი როლი.



ყოველ შემთხვევაში მათი პოლიტიკური, საოპოზიციო ხაზი არაა ცნობილი. დღეს მემარჯვენე ოპოზიციის იბრძვის. როგორც თვით ბოლშევიკური პრესა იტყობინება, ეს ოპოზიციის საგრძნობ საფრთხეს წარმოადგენს და პარტიის და სახელმწიფოს მთელი აპარატი ამ მემარჯვენე საფრთხის ამოსაფხვრელათაა ამოქმედებული. ვფიქრობთ, მემარჯვენე ოპოზიციაც ისე დამარცხდება, როგორც დამარცხდა მემარცხენე ოპოზიციის, რადგან ცენტრის, ე. ი. სტალინის ხელშია როგორც პარტიული, ისე სახელმწიფო აპარატი. სტალინის პიროვნული დიქტატურა დღით დღე უფრო რეალი ხდება. ყველა ის, ვინც მასთან კარგათ არაა, მარჯვნიდან იქნება ის, თუ მარცხნიდან. თუ ყოველივე საოპოზიციო მიმართულებათა გარეშე, უღმობელათ იდევნება. მოვლენათა ეს მიდრეკილება აღსავსე იქნება შედეგებით.

საით მიდიან?

სიმშლი. ტერორი, სასაზღვრეო-სამხარკვეთილი განცდანი

ქმნის იმ საშინელ ატმოსფერას, რომელშიდაც იბრძობა ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი საბჭოების საცოდავი «მოქალაქე». მორალურათ დატანჯული, ფიზიკურათ განადგურების გზაზე დამდგარი, ის ეძებს ნავთსაყუდელს, რომ იქ დროებით მაინც კპოვოს სულიერი სიმშვიდე, მაგრამ ამაოთ.

ბოლშევიკების ტირანიის თერთმეტი წელი შესრულდა, თერთმეტი წელი ხალხის ტანჯვის და წამების, თერთმეტი წელი ადამიანის ყოველ მალ მისწრაფებათა, მისი წმიდათა წმიდის განადგურების, თერთმეტი წელი ჯოჯოხეთისა, თერთმეტი წელი ბელზებელთა თარეშისა. მოძალადენი დღეს ზეიმობენ, ხალხი კი გლოვობს, გლოვობს დაკარგულ თავისუფლებას, მოძალადენი დღეს ნეტარობენ, ხალხი კი იტანჯვის, იტანჯვის ტანჯვათა უსაზღვროებით.

საით მიდიან?

ილია ნუცუმიძე.

შ ე ბ მ ე ტ შ უ ვ ე რ.

პუვერ იყო კავკასიაში. ის იცნობს ამ საკვირველ ქვეყანას, ამ საოცნებო მხარეს საუკუნეთა განმავლობაში, სადაც პირველად გამოიღვიძა კაცობრიობამ და აინთო პირველი შუქი ცივილიზაციისა. მას უნახავს არარატი, მას გადაუტარებია თვალი საქართველოს ნანგრევებზე. მას გაუვლია კავკასიის მთები, რომლის ხევეებში და უღელ-ტეხილებში ჯერ კიდევ ისმის გამაძახილი მიჯაჭვული პრომეთეს ტანჯვის და კენესისა. ის იცნობს კავკასიის ერებს, მათ ძველს და კეთილშობილურ განათლებას, და მათ გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის.

დიდი ხანი არ არის, ამერიკას არ ჰქონდა არავითარი სურვილი ეთხოვებინა ყური იმისთვის. თუ რა მოთქმა და მწუხარება გაისმოდა კავკასიის რესპუბლიკებისაგან. ამ მხრივ შესანიშნავია ის ორი სიტყვა, რომელიც იხმარა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, ბ-ნ კოლბიმ, საქართველოს შესახებ ერთ თავის ცნობილ ნოტაში. ეს ნოტა შეეხებოდა რუსეთის ყოფილ იმპერიის საქმეებს და იქ ნათქვამი იყო: «ეგრედ წოდებული საქართველოს რესპუბლიკა».

რას ჰნიშნავს ეს «ეგრედ წოდებული»?

მართალია, საქართველო არ არის დიდი ქვეყანა, მაგრამ განა მხოლოდ ამიტომ ის უნდა იყოს ნაკლებ ღირსი ყურადღების და თანაგრძნობისა? ვინ არ იცის, რომ მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, საქართველომ როგორც ქრისტიანობის ავან-პოსტმა ითამაშა შესანიშნავი როლი ისტორიაში? მეხუთე და მეექვსე საუკუნეში იმას ჰქონდა ვადათარგმნილი ქართულად წმ. სახარება და საღმრთო წერილი. მთელი მისი ტერიტორია გამშვენებული იყო ეკლესიებით და მონასტრებით. ეროვნულ სულს, გათილსა და ჩამოქნლი ქრისტიანულ იდეალიზმით, შექმნიდა იგივე იდეალიზმი მის საოჯახო, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. «ვეფხისტყაოსანი», ეს ცნობილი განძი მეთორმეტე საუკუნისა, არის ნამდვილი სარკე

ეროვნული სულის და სწორი გამომხატველი ერის ზნეობრივი და ვაზნებრივი სიმაღლისა. იდეა მშობისა და ერთგულობის, თავისუფლების და თანასწორობის, მხნეობისა და თავგამოდების, ღირსებისა და პატიოსნების, ერთის სიტყვით ყოველი მორალური პრინციპის, რომლითაც კი თავი მოსწონს განათლებულ კაცობრიობას, იქ ჩამოსმულია უკვდავი მშვენიერებით. ხშირად უბრალო გლეხებსაც კი გახეპირებული აქვთ ეს მშვენიერი ლექსები. რუსთაველის გენიალობამ ააგო ეს დიდებული კედელი, უფრო მტკიცე და მიუდგომელი, ვიდრე კავკასიის უღელ-ტეხილი, და ამ ზღუდეში შეფარებული ქართველი ერი გადარჩა ყოველ, უცხოეთიდან შემოჭრილ, დამარჯვენელ და გამათახსირებელ ზედგავლენას... ბაგრატიონთა დინასტია ჰმეფობდა საქართველოში თორმეტი საუკუნის განმავლობაში და ამ გარემოებამ კიდევ უფრო ჩამოაყალიბა შეგნება ეროვნული მთლიანობისა. მხოლოდ წარსულ საუკუნის დასაწყისში რუსეთის ვერაგულ პოლიტიკამ მოუღო ბოლო ამ სახელოვან სამეფოს. საქართველომ მიიღო ყოველი ზომა, რომ მის რუსეთთან დამეგობრობას ჰქონოდა უდავო იურიდიული ბაზა (ხელშეკრულება 1783 წ.), მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. 1801 წელს ის ვერაგულად დაამხო რუსეთმა და დაიჭირა მისი მიწა-წყალი. 1918 წელს საქართველომ ისევ გამოასწორა ხაზი თავის განვითარებისა, აღადგინა თავის დამოუკიდებლობა და მიიღო წმინდად დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული კონსტიტუცია.

საგარეო საქმეთა პატივცემულ მდივანმა, ბ-ნ კოლბიმ, განა იცოდა ყველა ეს საბუთები, ყველა ეს მოსაზრებანი—ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული?! არა, მან არ იცოდა, რომ ჰცოდნოდა, ის უწყველია არ იხმარდა ჩვენდა მიმართ ისეთ სიტყვას, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ შეურაცხყოფა და ამერიკისათვის კი—არაფერია სასახლო.

ჰერბერტ ჰუვერმა კი იცის... ეს ცოდნა დიდი

რამეა. რაც გინდ იყოს, ცოდნა ყოველთვის საჭიროა, რათა თავისი გაიტანოს სამართალმა და ჭეშმარიტებამ.

ჰუვერი იცნობს რუსეთსაც. ეს არანაკლებ საჭიროა. ბევრია სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც, ერთნაირ პსიქოლოგიურ ინერციის ძალით, ესლაც უყურებენ რუსეთს ისე, როგორც ამის წინედ. თითქმის არაფერი მომხდარა და არაფერი გამოცვლილა. რუსეთი კი, ის რუსეთი, რომელიც არსებობდა ამის წინად, ესლა არ არსებობს. ძველი რუსეთი დაირღვა და დაიშალა. მის მაგიერ და მის ნანგრევებზე წამოიჭრნენ ცოცხალი ძალები ახალი ერებისა და შეჰქმნეს ახალი სახელმწიფოები. ძირითადი შინაარსი რევოლუციის იყო სწორედ წამოხეტევა ამ ახალი ძალების. მან დალუნა რკინის რგოლი რუსეთის იმპერიალიზმის, და მოუპოვა ყველას თავისუფლება მოქმედების და თვით-გამორკვევისა.

ამ თავისუფლებით ისარგებლა ყველამ და ყველამ მოაწყო თავის ცხოვრება ისე, როგორც მას უნდოდა, თანახმად მისი სულიერი მიდრეკილების და კულტურულ დონესი. რუსის ერმა აიჩრია სოვეტიური ფორმა სახელმწიფო წყობილებისა,—ეს მისი საქმეა. სხვა ერებმა უარი ჰყვეს ეს დიქტატურა და აიჩრიეს ის ფორმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, რომელსაც ჰქვია დემოკრატიული რესპუბლიკა. შემდეგ ყველა განთავისუფლებულ ერებმა იცნეს ერთმანეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თანდათან მოიხვეჭეს ეს ცნობა—ცნობა დე-იურე—უცხოეთის სახელმწიფოებისაგან. აი რასაკვირვებულად ჩვენ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 7 მაისს 1920 წ. ხელშეკრულებაში:

«რუსეთი სცნობს უდავოდ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და სრულის თავის ნებით ხელს იღებს ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც კი ეკუთვნოდა რუსეთს შესახებ ქართველი ერის და მისი ტერიტორიისა».

რა ძალა აქვს ამ ვალდებულობას? აშკარაა, ბოლშევიკური მთავრობა რომ ყოფილიყო შემთხვევითი მოვლენა რუსეთში, ამ ხელშეკრულებას არ ექნებოდა დიდი ძალა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მთავრობა მიიღო და დააკანონა თვით რუსის ერმა; ამიტომ არის, რომ ის ურყევად ჰდგას და ამდენი ხანი განაგებს ქვეყნის საქმეებს. გარდა ამისა, ბოლშევიკური მთავრობა ცნობილია საერთაშორისო მასშტაბით, თითქმის ყველა სახელმწიფოების მიერ, როგორც კანონიერი მთავრობა რუსეთისა. აქიდან თავისთავად ცხადია: ყოველი პოლიტიკური ხელშეკრულება და ყოველი აქტი საერთაშორისო ხასიათისა, დადებული კანონიერი მთავრობის მიერ. სავალდებულოა მთელი ერისათვის. მაშასადამე, საქართველოს ცნობა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის სავალდებულო მთელი რუსის ერისათვის, როგორც არ იყოს შემდეგი მისი მთავრობა. მთავრობა შეიძლება გამოიცვალოს,—რჩება ხელშეკრულება, როგორც ვალდებულება მთელი ერის. იმ დღიდან, რაც რომ დაიღო საქართველოსთან ხელშეკრულება

და რუსეთმა იცნო სუვერენობა ქართველი ერის, ყოველი დავა საქართველოს და რუსეთის შორის არის დავა ორ სახელმწიფოთა შორის და უნდა გადაწყდეს თანახმად საერთაშორისო უფლებების პრინციპებისა. აი რატომ არის მიუღებელი რუსეთის თავდასხმა საქართველოზე. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ არის დანაშაული. ის სვამს საკითხს მსოფლიო სინიდილის წინაშე და მოითხოვს შელახულ უფლებათა აღდგენას.

ამბობენ, ჰუვერი—ციფრისა და ანგარიშის კაცია. ეს შეიძლება. ციფრი და ანგარიში ყოველთვის საჭიროა, როცა საქმეა ამას მოითხოვსო. დიდი ომის დროს ჰუვერი იყო მეტად ენერგიული მუშაკი თავის ქვეყნისა. ის იყო წვერი შეერთებულ შტატების საკონომიო მმართველობის და მას ებარა ამერიკის ჯარის სასურსათო ნაწილი ევროპაში. პრენიდენტ ვილსონმა მას მიანდო მთელი ეს უშველებელი საქმე. ომი გათავდა, მაგრამ ომის შემდეგაც არ შემწყვდარა მოღვაწეობა ჰუვერისა. ის ჩაუღია სათავეში სხვადასხვა საკონომიო მუშაობას. მან აღმოუჩინა დახმარება პოლონეთს, სერბიას, ჩეხოსლოვაკიას, გერმანიას, ავსტრიას, იტალიას, სომხეთს და ბალტიკის სახელმწიფოებს. მან შექმნა უშველებელი ორგანიზაცია, მოაწყო, თუ შეიძლება აგრე ითქვას, ერთნაირი საერთაშორისო სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა თავისი დროშა, თავისი ფლოტი, თავისი დიპლომატია, თავისი ბიუჯეტი 20-25 მილიონ დოლარის ყოველ თვიურად... ციფრი და ანგარიში? —დიად, ეს აუცილებელი იყო. მაგრამ ციფრი კი არ ამოქმედებს ადამიანს, არამედ შეგნება მოვალეობის, შეგნება თავის მალალი დანიშნულების: ეს ვახლავს ის ძალა, რომელიც ატრიალებს ციფრებს და ჰქმნის ისტორიას.

ესლა გარემოება გამოიცვალა... ესლა ვილსონი კი არ იწვევს იმას, არამედ ოცდაოთხი მილიონი ამერიკელ მოქალაქეთა: ჰუვერი უკვე ამორჩეულად ითვლება, როგორც პრენიდენტი ამერიკის დიდი რესპუბლიკისა. «საქმე», რომელიც ესლა უნდა ჩაბარდეს მის ერთგულებას და მის გამპირახობას, სულ სხვა ზომისაა; და მოვალეობაც, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, ჰლებულობს ხასიათს დიდი პასუხისმგებლობისას ისტორიის და კაცობრიობის წინაშე. აი რას ამბობს თვითონ ჰუვერი თავის წერილში, რომლითაც მან მიჰმართა თავის ამომჩრჩევლებს:

«გუშინდელი არჩევნებით რესპუბლიკანურ პარტიამ მიიღო თავის თავზე მძიმე პასუხისმგებლობა... განგების შემწეობით. მე ვეცდები ვიყო ღირსი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილის, რომელიც კი არსებობს ქვეყნიერებაზე. მე შევეცდები სწორად გავატარო გონიერი აზრი და მისწრაფებანი ამერიკის ხალხისა.»

უბრალო ფორმა ამ განცხადებისა უფრო მკაფიოდ ჰშლის საქმის სიდიადეს, გასწენება «ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილის, რომელიც კი არსებობს ქვეყნიერებაზე» იწვევს მაშინვე ფიქრს ვალ-



დებულებაზე ამ ქვეყნიერების მიმართ. რაც შეეხება «გონიერ აზრს და მისწრაფებას ამერიკის ხალხისას», ამას არ უნდა დიდი განმარტება: ის ნათლად იხატება ჩრდილო ამერიკის დემოკრატიის განვითარების ისტორიაში და იმ მუშაობაში, რომელსაც ის აწარმოებს საერთაშორისო განწყობილების სფეროში.

ისტორია კუბის განთავისუფლების მეტად საჯულისხმა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საბერძნეთის ცნობა 1824 წელს, როგორც საერთაშორისო პიროვნებისა. საბერძნეთს არ ყავდა მაშინ მთავრობა. არც საზღვრები ჰქონდა; ის იყო მხოლოდ აჯანყებული პროვინცია ოსმალეთის იმპერიისა. მიუხედავად ამისა, ჩრდილო ამერიკის ნორჩმა რესპუბლიკამ აღიმაღლა ხმა დაჩაგრულ ერის დასაცავად და მიაწვდო

მას თავისი გაბედული სიტყვა და თავის სახელის მსოფლიო პრესტიჟი. მე არა მგონია, რომ ესლანდელი რუსეთის უხეში ბატონობა საქართველოში იყოს უფრო შესაწყნარებელი, ვიდრე ოსმალეთის ბატონობა საბერძნეთში წარსულ საუკუნეში. მე არა მგონია აგრედვე, რომ დაცვა პატარა ერების არ იყოს ამერიკის დემოკრატიის ტრადიციაში.

რა არის დაბოლოს თვით ცნობილი პაქტი კელოვგისა? განა ის არ ამყარებს ვალდებულებას, რომ ყოველი დავა და უთანხმოება გადაწყვეტილ იქნას არბიტრაჟით? იგი უარ-პყოფს ომს და მიზნად აქვს მშვიდობიანობის განმტკიცება იმ გზით, რომელსაც ჰქვიან უფლება და სამართალი.

ვილფრი გვაზავა.

ფრანგული წიგნები საქართველოზე.

ანდრე ვილის. მარტო რუსეთში ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე. პარიზი. 1927 წ. *)

აი მეორე წიგნი საბჭოთა რუსეთზე და საქართველოზე. მისი ავტორი, ქ-ნი ანდრე ვილისი, არ არის არც კომუნისტი, არც ბოლშევიზნი და საზოგადოთ «თავისუფალი» უნდა იყოს ყოველივე გარკვეულ პოლიტიკურ დოქტრინისაგან. ქ-ნი ვილისი იმითაც განირჩევა ბ-ნ ვიულანსისაგან, რომ ის კარგი მწერალია, რომანისტი. ლიტერატურული პორტრეტისტი და უწინარეს ყოვლისა გამოყენილი რეპორტერი, ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით. ის წაიგა საბჭოთა ქვეყნებში რეპორტაჟის მიზნით, რომ დაბრუნებისას მიუდგომლათ გადაეცა თავის მკითხველისათვის ნახული და გაგონილი: «არც აპოლოგია, არც საბრალმდებლო ოქმი», ასე ახასიათებს თავის შთაბეჭდილებებს ფრანგი ავტორი-ქალი წიგნის წინასიტყვაობაში: «მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს პრეტენზია თითქმის ყველაფერი მენახოს და ყველაფერი გამეგოს. ეს არის რეპორტაჟი და სხვა არაფერი, რეპორტაჟი. თავისთავათ ცხადია, ნაჩქარევი და ზერე» (გვ. 10).

მაგრამ ქ-ნ ვილისის პოლიტიკური ნეიტრალობა და მიუდგომლობა ან ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდეს ერთნაირი წინასწარ შედგენილი ზოგადი შეხედულება რუსეთის დღევანდელ წყობილებაზე და მის ხელმძღვანელებზე. რომელიც დიდ კვალს აჩენს მის შთაბეჭდილებებს. ეს არის საშუალო ევროპიელ მოწინავე ინტელიგენტის შეხედულება რუსულ ბოლშევიზმზე, რომელიც საბჭოთა წყობილებას სჯის არა იმისდა მიხედვით თუ რამდენად სასარგებლო ან მავნებელია ის რუსის ხალხისათვის, არამედ, გამოდის რა არსებულ ფაქტის აღიარებიდან, ბოლშევიკურ დიქტატურას მიიჩნევს, ასე ვთქვათ, რუსის ხალხის სრულიად ბუნებრივ და შესაფერ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობათ. ევროპიელ ხალხებისა და ქვეყნებისათვის? ღმერთმა დაიფაროს! როგორ შეიძლება ევროპიელმა ასეთი დესპოტია აიტანოს! «მე არ მწამს,

ამბობს ქ-ნი ვილისი, რუსულ ბოლშევიზმის დამყარება ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში. ერთი იმიტომ, რომ რუსეთში სრულიად აღარ არსებობს თავისუფლება აზროვნების, წერის, მოქმედების, ხოლო ხშირად არ არსებობს თავისუფლების ნახსიცი კი. ფრთოსანი სახელის მატარებელი გეგეუ რჩება პირდაპირი მემკვიდრე მეფის დროის საზარელ ოზრანკისა. შემდეგ იმიტომ, რომ ყოველდღიურ არსებობის წვრილმანს ჯერ კიდევ ძალზე აწესრიგებს სახელმწიფო. იქ ცხოვრობთ მუდამ როგორც ვეებერთელა ყაზარმაში. ეს ორი ლაქა საკმარისია რომ რეჟიმს მანჩინჯი სახე მისცეს». მაგრამ ამ გამანადგურებელ კრიტიკას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ბოლშევიზმი ევროპის ხალხებს უპირდაპირდება, რუსეთისთვის კი სრულიად ბუნებრივია ეს კულტურულ კაცობრიობისთვის აუტანელი ძალადობის რეჟიმი: «ასეთი დიქტატურა, განაგრძობს ქ-ნი ვილისი, შესაძლებელია მხოლოდ მორჩილ და მოთქმენ ხალხში, რომელიც მუდამ გამსჭვალული იყო მორჩილების ვნებით და ტუჯვის რელიგიით...» (გვ. 11).

ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამ ევროპის ინტელიგენციის წრეებში ფრიად გავრცელებულ შეხედულების აქ გარჩევა. ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ავტორი ზემოთ მოყვანილ შეხედულებით უდგება საბჭოთა რუსეთს და ეს მიდგომა, თავისთავათ ცხადია, წინასწარ უტევენს ბოლშევიზმს მის ძირითად ისტორიულ დანაშაულს და ბოროტმოქმედებას ხალხის წინაშე და საბჭოთა რეჟიმისადმი ერთნაირ ლმობიერების დაღს ასვამს ქ-ნ ვილისის შთაბეჭდილებას.

მაგრამ, ქ-ნი ვილისი უანგარო და რიგიანი მეტვალყურეა; ამიტომ ის არ კმაყოფილდება ოფიციალურათ ნახულით და გაგონილით და არ მალავს დღევანდელ რუსეთის ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მხარეებს, რამდენათაც ის მათ ხედავს და სწვდება. მართალია, ის ხშირად ძლიერ ამსუბუქებს ბოლშევიზმის პასუხისმგებლობას რეჟიმისა ამა თუ იმ ნაკლში, მაგრამ ამას ის განზრახ არ სჩადის; ეს მას მოსდის ზემოთ აღნიშნულ ლმობიერებით ან საქმის უცოდინარობით. ჩვენ ისე ჩვეული ვართ რუსეთიდან

*) Andrée Viollis. Seule en Russie de la Baltique à la Caspienne. Paris 1927.



დაბრუნებულ ევროპელების ურიგობას და აშკარა მიდგომილობას, რომ ქ-ნ ვიოლისს უნდა უმადლოდეთ, რომ ის, მაგ., პოლიტიკურ ტუსაღების ნამდვილ ბედს არ უმალავს მკითხველს.

ბოლშევიკებმა სცადეს გაებრიყვებიათ ის, ისევე როგორც «დელეგატებს» აბრიყვებენ: უჩვენეს ერთი საოცარი საბჭოთა «საპრობილეუ»: მშვენიერი შენობა მოსკოვის მიდამოებში, პარკით, სურნელოვანი ხეხილით და ყვავილებით გარშემორტყმული. იქ მოთავსებულ სისხლის სამართლის დამნაშავე ქალებს შიგნით სრული თავისუფლება ჰქონიათ, ვიზიტები, გადაცემა, სეირნობა პარკში და, ასე გასინჯეთ; თვეში ერთხელ 3 დღის უვებულებაც კი! ეს «ბედნიერი თავშესაფარი უფრო ქალწულთა პანსიონს მოგაგონებს ვინემ სატუსაღოსი». და ავტორი სამართლიანად დაასკვნის: «საოპერო ცინელი!»

ამ «ქალწულთა პანსიონის» დათვლიერებისთანავე მოუნდომებია ქ-ნ ვიოლისს ენახა ნამდვილი ციხე და მიუმართავს კიდევ «სასიამოვნო თავშესაფარის» დირექტორისათვის:

«ენლა პოლიტიკური საპრობილეები? არ შემიძლია ვინახულო ერთი მათგანი!—ეს მომღიმარე კაცი უეცრად მოიღუშება. შიშით მიმოიხედავს—ხომ არავის გაუგონია ჩემი აღმაშფოთებელი კითხვა?—მეუძღვებელია..., აცხადებს ის ლაკონიურათ. და, სიჩუმის შემდეგ: მაგრამ იქ ისეთივე რეჟიმია, როგორც სხვა ციხეებში, თუ თითქმის ისეთივე ოთახები, კვება, კითხვა... მე აღარ ვჯიუტობ, რადგან ვიცი—ო მოგვიტორობს ჩვენი ავტორი. და მან მართლაც იცის და არც უმალავს მკითხველს რაც იცის... «არის ბუტიკი, ვეებერთელა და სასტიკი ციხე მოსკოვში; არის სახარელი სობიელსკი (აღმათ სოლოვკი. დ. შ.). მყინვარ კუნძულზე არხანგელის ახლო; ან კიდევ გადასახლება ყრუ ჩრდილოეთში თუ აღმოსავლეთში; არის ციმბირი, დიას, არის ისევე, როგორც იყო წინათ. და პოლიტიკურ ციხეებში არ არსებობს არამც თუ შევებულება—ვის შეუძლია ამაზე იოცნებოს!.. არამედ არ არსებობს არავითარი ვიზიტები, არც წერილები, არც ვაწებები... არც გასეირნება ბაღში. მხოლოდ რამდენიმე ჯერ ირგვლივ შემოვლა კედლებით გარშემორტყმულ და ჭასავივთ ღრმა ეზოში... ტუსაღები გამორიცხული არიან ცოცხალთა სიიდან. ეს არის in-pace, განსვენება, ყოველ შემთხვევაში, მორალოური.

«სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის, თავაშვებულ თუ გადაგვარებულ ნადირთათვის—ყოველგვარი ლმობიერება. შეგნებულ არსებათათვის, რომელთაც თავისი აზრი და მისი გამოთქმის გამბედაობა აქვთ—ყოველგვარი სისასტიკე...» (გვ. 225-226).

ჩვენ განგებ შევჩერდით ქ-ნ ვიოლისის მიერ რუსეთიდან გამოტანილ შთაბეჭდილებებზე, რათა გვეჩვენებია მკითხველისათვის, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რიგიან მწერალთან, რომელსაც მიზნათ არ დაუსახავს გაათეთროს შავბნელი სინამდვილე საბჭოთა ქვეყნებისა. მით უფრო მსალოდნელი იქნებოდა, რომ საქართველოში ჩასული, ის მიაგნებდა ჩვენი ხალხის მიმე ტკივილდას. მით უფრო კიდევ,

რომ ჩვენი ქვეყანა მისთვის სრულიად უცნობი არ ყოფილა: ბავშობიდან გულში ჩასწვდენია ფრანგ ქალს რომანტიული ოცნება შორეულ საქართველოზე და მისი მხატვროული ნიჭი სწორედ მაშინ შლის სახსებით ფრთას, როცა ის ტფილისის და ქართვლების გარეგნულ აღწერილობას იძლევა. აი როგორ იწყებს ის ჩვენი დედა-ქალაქის აწერას:

«ტფილისი, რომლის ნაზი სახელი ისე ხვდება ყურს თითქოს ხავერდს ეალერსებოდე, რომელზედაც მე ვოცნებობდი უკვე მაშინ, როცა ბავშვის თითი ორ ლურჯ-მოცეკვავ კასპიის და ცლტა არ იყოს შიშის მომგვრელ შავი-ზღვის შორის მისდევდა დაკიდულ ქალად ქედს დიდი კავკასიონისას,—ტფილისი თვით კიდევ უფრო ნაზი ვინემ მისი სახელი... როცა მიახლოვებული მატარებელი დასცქერის მას, დილის სინათლეზე ის ისახება, როგორც ვარდისფერი მარგალიტი, ჩასმული გარემო მთების ოქროს ბეჭედში. როგორ უნდა ავწერო მისი მომხიბლაობა და რაში მდგომარეობს იგი?»...

ქ-ნი ვიოლისი აღტაცებულია ტფილისის ბუნებით და მდებარეობით, მისი ევროპიული ნაწილით, კიდევ უფრო ძველი ქალაქით და კიდევ მეტად ქართველობის გარეგნობით, რომელსაც დაწერილებით და შეყვარებული გატაცებით აღწერს და დაასკვნის:

«რასა კეთილშობილი და თავმომწონე, შექმნილი ომის, სიყვარულის მეჯლისის და მხიარულებისათვის, ერთი უწმინდესი და უძველესი რასა დედამიწაზე» (გვ. 290).

და ასე ყველგან, საცა ქ-ნი ვიოლისი თავის უშუალო, ასე ვთქვათ—თვალის შთაბეჭდილებას გადმოგვცემს, ის ქართველობისთვის არ ზოგავს არავითარ, ხშირად გადაჭარბებულ, ქათინაურებს, მის აღტაცებას და სიმპატიას საზღვარი არა აქვს. მაგრამ ყველაფერი ხომ თვალით არ დაინახება; ქ-ნმა ვიოლისმა თავის მკითხველს უნდა გააცნოს ჩვენი ერის წარსული, მისი ეხლანდელი ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება რეჟიმთან და რუსეთთან და სხვ. ყველა ამების გარკვევისათვის კი საჭიროა ერთის მხრით დოკუმენტაცია, მეორეს მხრით ხალხის გაცნობა, მისი შრახვევის, მისი სიმპატიან-ანტიპატიების, მისი სულისკვთების მიხვედრა. ჩვენს მოგზაურს არც ერთის შეძლება აქვს და არც მეორის. აკი გავგაფრთხილა წინასიტყვაობაში: ნურას მოვლით ჩემგან გარეშე «ნაჩქარევი და ზერეულე რეპორტაჟისაო». სად, ვისგან უნდა მიეღო ქ-ნ ვიოლისს ეს შთაბეჭდილებები? რა თქმა უნდა იმათგან, ვისაც მომეტებულათ ხვდებოდა და ესაუბრებოდა ტფილისში. ხოლო ესენი იყვნენ ერთის მხრით ქართველი ბოლშევიკები, მეორეს მხრით კი ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა «გეშეფტებით» მიზიდული უცხოელები. ის შეხვედრა ავრეთვე ერთსა თუ ორ ქართველ «შეურიგებელ პატრიოტს», და აღმათ მათის მოთხრობით გვარიან სწორათ გადასცემს თავის მკითხველს საქართველოს უახლოეს ისტორიის მთავარ ფაქტებს. მაგრამ როცა საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, ავტორი ამ «შეურიგებელ» მოსაუბრეს დაინტერესებულ მხარეთ სთვლის მით უმეტეს იუვის თვალთ უყურებს ის ჩვენი ბო-



ლშევიკების ტრახანს შესახებ «ინდუსტრიალიზაციისა», «ნაპესისა» და სხვა მრავალ «სიკეთისა», რომლითაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, მათის სიტყვით, აავსო, დაპყრობილი საქართველო. თავის შთაბეჭდილებებს წაჰკესზე, რომელიც მას შალვა ელიაშვილს დაათვალა იერებია, ის ამ სიტყვებით აბოლოვებს: «ერთხელ კიდევ, განა სოვეტები შეუდარებელი ოსტატები არ არიან საგარეო სანახაობების მოწყობაში?» (გვ. 302).

მაგრამ ამ ჩაწყობის ოსტატებმა მაინც გააბეს ის ერთ მხეში: ქართველი ბოლშევიკები მას ფეხქვეშ გაგებინან, თავაზიანობა არ დაუკლიათ, ტუბილათ მოუბარი ენა ისე არ მოუბრუნებიათ, რომ სამშობლოს სიყვარული არ დაეფიცათ და აკი დაურწმუნებიათ კიდევ, რომ მათი მთავარი ზრახვა და ზრუნვა საქართველოს კეთილდღეობაა, რომ ნამდვილი პატრიოტები სწორედ ისინი არიან? ამ მხრით მართლა ისე მოხდენილი «მიზანსცენა» მოუწყვიათ, რომ ქ-ნ ვიოლისს შალვა ელიაშვილს ქართველ «რანდათ» მოსჩვენებია. ჩვენი მწერალი ქალი თავის თავს ეკითხება: «საბჭოთა ხელმძღვანელია ეს თუ მეფის მუსკეტერთა კაპიტანიო?» და მას ისე არ იხსენიებს, რომ, ფრანგულ ყაიდაზე, *Président du Conseil* (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) არ უწოდოს. ესლა არ იკითხავთ როგორ გაუცვნია თავისი თავი უცხო მწერალისთვის ჩვენს «პრეზიდენტს»? «ახნაური, დასავლეთ საქართველოს ძველი გვარის შვილი—მაგრამ ახნაური კომუნისტი, როგორც მრავლათ წარმოუშვია ამ მხარეს. ორგვარათ მსხვერპლნი რუსული იმპერიალიზმისა, როგორც ადამიანი და როგორც პატრიოტები, ეს კომუნისტი-ახნაურები ბუნებრივით განწყობილნი იყვენ ამბოხებისათვის» (გვ. 300).

ეს ელიაშვილის და სტალინ-ორახელაშვილების პატრიოტობა იქნებ ასე ადვილათ არ დაეჯერებია ქ-ნ ვიოლისს, რომ ბოლშევიკების რწმუნება ამ მხრით არ დაედანტურება მისთვის მეორე და უმთავრეს წყაროს, საიდანაც ის კარებს ცნობებს დღევანდელ საქართველოს შესახებ. ეს წყარო განსაკუთრებულია, მომეტებულათ ამერიკელები, რომელთა წრეში ბუნებრივით მოხვდა ინგლისურის კარგად მცოდნე ევროპელი ქალი.

გამოდგებოდენ ესენი ასეთ მოწმებათ? რა თქმა უნდა არა. ამ ამერიკელებს (სომხების დამხმარე მისიის წევრები და სხვადასხვა გეოგეტიკები ჩვენში მოვლინებული «საქმის» ხალხი) ერთი და მათთვის სწორეთ მთავარი რამ აკავშირებდა ოკუპაციასთან. მათი საქმიანობის წარმატება მოითხოვდა არსებულ რეჟიმის სიმტკიცეს, ქვეყანაში «წესიერების» და «მშვიდობიანობის» სუფევას. ამ მხრით ისინი საოკუპაციო რეჟიმის ბუნებრივი მოკავშირე-მეგობრები იყვნენ და, პირიქით, ქართველ ელემენტებს აღმაცერათ უყურებდენ, როგორც მოუსვენარს, დაუდგრომელს. «მშვიდობიანობის» დამრღვეველს, «საქმისთვის» ხელის შემშლელს. ერთი მათგანი აშკარათ ეუბნება ქ-ნ ვიოლისს: «საქართველო არ არის ცუდი საქმეებისათვის, მაგრამ ერთი პირობით კი, რომ ქართველები... არ ჩაერიონ საქმეშიო». (გვ. 304). დამატებით ამას, რომ ჩვენში მყოფი ამერიკელები გა-

რემორტყმული არიან არა ქართველი ელემენტებით, მომეტებულათ «საქმიან» სომხებით, რომლებიც მათ თავისებურათ აცნობდენ ქართველ ხალხს, საქართველოს სინამდვილეს და თქვენ აღარ გაგიკვირდებათ, რომ მათზე დაყრდნობილ ქ-ნ ვიოლისს დაახლოვებით მოუვიდა იგივე, რაც ამ 45 თუ 50 წლის წინ შეემთხვა საქართველოში პარიზელ «ტანის» კორესპონდენტს, ვინმე კუტულ-ს, რომლის საარაკო ამბავი ავგიწერა «ქვათა ღალადში» ილია ჭავჭავაძემ.

მაგრამ «ქვათა ღალადის» დროიდან ერთი დიდი ცვლილება მაინც მომხდარა ქართველებში. თუმცა ქართველი ერთი წინანდებურათ ზარმაცი და გამძლე შრომის უნარს მოკლებული ყოფილა, მაგრამ სიბრძნევეს აღარ უჩემებენ მას. აი დაუღღეთ ყური როგორ გვახსიათებს ჩვენი ფრანგი მწერალი ქალის მიერ ექსპერტათ მოწვეული ამერიკელი: «გულადები, გულგაშლილები, ბრწყინვალე გონებრივი ნიჭით შემკულნი, ესენი (ქართველები) ძლიერ ხშირად მოკლებულნი არიან ორგანიზაციის უნარს და გამძლეობას...» (გვ. 295). ან და: «ძლიერ ნიჭიერი არიან ეს ქართველები! შენიშნავს მეორე ამერიკელი, რომელსაც გაპყავს სწრაფი ტელეგრაფის ხაზი ტფილისისა და მოსკოვის შუა.—ერთბაშათ შეითვისეს ჩემი აპარატების საკმაოთ რთული ხმარება. მაგრამ მათ არ უყვართ ხანგრძლივი შრომა (გვ. 303).

ჩვენ არა ვართ ისე დაბრმავებული ჩვენი ხალხის სიყვარულით, რომ არ ვიცოდეთ ან ვგალოგდეთ, რომ ქართველ ერს, საერთოდ, არა აქვს ჯერ უნარი იმ ინტენსიური შრომისა, რომელიც ახსიათებს მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნებს. მაგრამ ამის მიზეზია არა ვითომდაც ქართულ ეროვნულ ხასიათში ჩაქსოვილი სიზარმაცე, რომელსაც ამერიკელი გეოგეტმახერები გვწამებენ, არამედ ის სრულიად ობიექტიური გარემოება, რომ საქართველო, ისე როგორც მისი მეზობელი ქვეყნები, არ არის ჩამბული იმ უმაღლეს ინტენსიურ ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელშიაც დიდი ხნიდან ჩამბულან დასავლეთის ერები და რომელიც უვითარებს ხალხს «ხანგრძლივი შრომის» და «გამძლეობის» ჩვეულებას და უნარს. მარა ასე როდი უდგებიან საკითხს. თურმე ჩვენი ეკონომიური ცხოვრების პირობებისთვისაც და ჩვენს მეზობლებთან შედარებით ქართველი ხალხი, ქართველი მშრომელი გაუსწორებელი ზარმაცები და «ხანგრძლივ და გამძლე» შრომისათვის უვარგისნი ყოფილან. მართლაც, აი რას ამბობს მესამე «ექსპერტი»: «უკითხვის შევიქვის მაღაროებში, უმატებს მესამე, (ასე უამბობს ქ-ნი ვიოლისი თავის კითხველს) ჩვენ წლებზე ფეხს ვიდგამთ, რომ მათგან (ქართველებისაგან) ხანგრძლივი შრომა მივიღოთ. რა გვეშველებოდა უსომხებოთ?» (იქვე).

მაგი ქვის მთელი წარმოება და ტრანსპორტი განვითარდა და აღორძინდა ქართველი მუშის შრომაზე; მის საუკეთესო, უნაყოფიერეს წლებში ომის წინ არა ქართული ტომის მუშები მომუშავეების უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდენ; არა მარტო დაბალი მუშები, არამედ მათი ზედამხედველები, შტეიგერები და უმაღლეს პერსონალის სხვა დამხმარე მოხელეები თითქმის ერთიანათ ქართველები

იყვნენ; ხოლო ბევრ ქარსნებში და წარმოებებში უმაღლესი პერსონალიც ქართველებიდან შესდგებოდა. და ასე განა მარტო ჭიათურის წარმოებაში იყო? განა ქართულ შრომაზე არ იყო დაყრდნობილი მთელი ამიერკავკასიის რკინის გზა თავისი სახელმწიფოებით და დეპოებით? განა ქართველი კვალიფიციური მუშა საუკეთესოთ არ ითვლებოდა მთელს კავკასიაში? სწორეთ რომ დღევანდელი უჯიშო და უსახო, ქართული შირმის და რუსული ხიშტის «მუშურ-გოვხური» მთავრობა უნდა მოვლინებოდა საქართველოს; რომ კავკასიაში სანიმუშო ქართველი მუშა საქვეყნოთ სათრევათ და სამასხაროთ გაეხადათ ამერიკულ დოლარის აგენტებს!

ეს «რა გვეწვევებოდა უსომხებოთ!»-ო რაღა არის? ნუთუ ქართველი ბოლშევიკების ლოცვა-კურთხევით მოსკოვის კონცესიონერებმა სომხები «მიაშველეს» ჭიათურას «გადასარჩენათ»?! და ეს მაშინ, როცა თვით შ. ელიაშვილს სიტყვით 30.000 ქართველი მუშა უმუშევრათაა! (გვ. 301).

მაგრამ დაეუბრუნდეთ «ამერიკელ ექსპერტების» დასკვნებს. ქან ვიოლისის ანტერესებს: «რატომ, როგორ დაჰკარგა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა?» და ამ საკითხს უძღვნის თავის წიგნის ერთ კარს, რომელშიაც ის მოუთხრობს თავის მკითხველს ამერიკელ ფილანტროფის მოწმობას აღნიშნულ კითხვაზე (გვ. 294—298).

«მენშევიკურ-სოციალისტურ მთავრობას»-მოუთხრობს უცხოელი ფილანტროპი ქან ვიოლისს— «ჰყავდა მრავალი ვარგისი და მაღალი სინიდისის პირი, გამსჭვალული საუკეთესო ზრახვებით». და თუ მაინც დაჰკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა ამის მთავარი მიზეზი იყო «ქართველების ხსიანითი», რომელთაც «ორგანიზაციის უნარი და გამძლეობა აკლიათ»... იმ თავითვე ქართველ თავად-აზნაურებამ და ბურჟუაზიამ «სერიოზული საქმეები, განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობა სომხებს მიუტოვა, რომლებმაც ნელნელა და ძლიერ პატიოსნურათ აართვეს მათ მათი ქონებათ». «გაკატრებული ქართველები ხშირად საშინლად აენტებოდნენ ხოლმე ამ შესანიშნავ კომერსანტების წინააღმდეგ და ძვირად უზღავდნენ მათ დანაშაულისათვის; რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სომხები ძალზე მეტს შრომობდნენ, მაშინ როდესაც თვით ისინი ომიანობდნენ, ცხენოსნობდნენ და ცეკვობდნენ». დამოუკიდებლობას ვერ გაუხსრობია დაუდევარი და უქმი ქართველი. სამი წლის შემდეგ ყველაფერი დაინგრა, ფინანსები, რკინის გზა, ვაჭრობა, შეიქნა შიმშილი და გაჩაღდა «მუდმივი ბრძოლები სომხებთან თვით ქალაქის ქუჩებშიაც კი» (გვ. 295)! ასეთი ანარქია ხალხმა ვერ აიტანა, ბოლშევიკები მრავლათ ყოფილა ჩვენში «თვით თავად-აზნაურებამაც კი», ხოლო ირგვლივ სოფლებების დამყარების შემდეგ «კომუნისტ მუშა და გლეხთა რიცხვი ყოველდღიურათ მატულობდა»... ამით ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა, გასთელა ფეხქვეშ მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და დაესხა თავს საქართველოს; ქართველები II დღის განმავლობაში მდგომარეობით იცავდნენ თავს, მაგრამ გვიანდა იყო... «მენშევიკური ბელადები იძულებული გახდნენ ქვეყანა

დაეტოვებიათ. საფრანგეთს შეფარებოდნენ, წვრილი ხალხი კი გვირგვინად ადვილათ შეეგუა ახალ რეჟიმს. ხოლო ბურჟუაზიის და ინტელიგენციის ერთი ნაწილი ემიგრაციაში გავიდა და დარჩენილებშიც ჯერ კიდევ ბევრია, ისეთი რეჟიმს რომ არ ურიგდებოდა.

აჯანყება? ემიგრანტების ემისარებმა მოაწყვეს ბრიყვულათ. ეს იყო «სამწუხარო ეპიზოდი»: სადღაც ქუთაისთან ერთმა მუჭა გლეხებმა და მთიელებმა ამბოხების დროშა აღმართეს, ისინი წამსვე მოსრისეს. ლაპარაკობდნენ ხოცვა-ჟლეტაზე მთელს პროვინციაში, მარა ეს გადამეტებულია. მართალია ის, რომ ორსა თუ სამს სოფელში ადგილი ჰქონდა უმოწყალო ხვრეტას. კიდევ სადღაც და ოდესღაც 21 პოლიტიკური ტუსადი დაუხვრეტიათ. მორჩა და გათავდა! «ეს იყო ტერორი. ეს ნაწი და თვინიერი ხალხი»—ჰქ «გამბედავი და მეომარი ქართველი» თვინიერათ იქცევა!—«სულის მოთქმასაც ვეღარ ბედავდა». ესლა «ყველაფერი დაწყნარებულია... ცხოვრება ნორმალურია, კეთილდღეობა იზრდება».

ანკი რატომ უნდა იყვნენ უკმაყოფილო ქართველები, როცა «მთავრობა ქართულია». ის კი არა, ქართველები, რომელნიც «ბატონობის ენერჯისას ერთად შემკული არიან შესანიშნავი მკურმეტიყველობით», უპირველეს როლს თამაშობენ მოსკოვში; სტალინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი. საქართველოშიც არიან გამოჩენილი ქართველი ბოლშევიკები, მაგ. «ძლიერ პოპულიარული» შ. ელიაშვილი «და ყველანი უღრმესათ ერთგულნი არიან თავისი პატარა სამშობლოსა». «მე უნდა დაეუმატო კიდევც, რომ ჩემის აზრით გადაჭარბებული «ქართველიზაცია» (გაეროვნება) სწარმოებს?.. «ნამდვილათ ამ ქართულ საკითხში ბოლშევიკები უფრო მეტს ურიგებდნენ არიან, ვინემ მენშევიკები იყვნენ ოდესმეო» (გვ. 298).

აი ეს «მიუღვამელი» მოწმობა ირწმუნა ქანმა ვიოლისმა და რაღა გასაკვირალია, რომ შემდეგ ერთს «მეურიგებელ» ქართველს ის გაკვირვებით ეკითხებოდეს: «მაშ რაღაზე სჩივით?»—«ჩვენ დავსტირით, ჩვენ ვნატრობთ ჩვენს დამოუკიდებლობასო». მელანქოლიურათ უპასუხნია «მეურიგებელს» (იქვე). «ეს ამაღლევებელი გოდება მესმა მე ამ რამოდენიმე წლის წინათ, ირლანდიის რესპუბლიკანელების გულიდან აღმოხდომილიო», დასაქნეს ქანი ვიოლისი. და შეგვადარებს ჩვენ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველებს, დევალერას მიმდევარ ირლანდიელ რესპუბლიკელებს, რომლებმაც არ მიიღეს დომინიონის სტატუსი ირლანდიისათვის და შეებრძოლენ მის მომხრე ირლანდიელებს. მაგრამ «ესენიც ისე, როგორც ქართველები, იძულებული გახდნენ დამშვიდებულიყვნენ და დამორჩილებოდნენ» ახალ რეჟიმს. რა სჯობია მათის ქვეყნისთვისო?» აი ამ კითხვითი ნიშნით ათავებს ქანი ვიოლისი თავის რეპორტაჟს საქართველოს ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

ჩვენს მკითხველს არ სჭირია იმ უამრავ სიყალბეზე და სინამდვილის დამახინჯებზე მითითება, რომელსაც ამერიკელი ექსპერტის მოთხრობა შეიცავს. მაგრამ ეს არ მველის იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ქან



ვიოლისის რეპორტაჟმა ალბათ უკვე არა ერთი და ორი ფრანგი მკითხველი შეიყვანა შეცდომაში ჩვენი საკითხის უმტკივნეულებს მხარეების შესახებ. ეს მტრული სამსახური პატივცემულმა მანდილოსანმა, რა თქმა უნდა, უნებლიეთ გაგვიწია. და თუ ჩვენ სრული საბუთი გვაქვს უსაყვედუროთ მას ასე მჩატეთ მოპყრობა იმ საკითხის, რომელსაც თვით ის «ერთ უმტკივნეულებს საკითხთაგანათ» თვლის, მეორეს მხრით უნდა ითქვას, რომ მთავარი მიზეზი მისი შეცდომისა, მის მიერ საქართველოს სახის გაყალბებისა არის ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა.

უცხო ოკუპაციამ გაანადგურა ქართული საზოგადოებრიობა და მის ადგილას შექმნა მახინჯი ლე-

გალური «საბჭოთა საქართველო», რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ქართველ ხალხთან. მაგრამ საქმის უცოდინარი უცხოელი ძალაუფლებით ამ მრუდე სარკეში ცდილობს ამოიკითხოს საქართველოს ვითარება და რა გასაკვირია, რომ მრუდე სარკემ მახინჯი გამოხატულება მისცეს. ამისგან ჩვენ არ ვიქნებით დაზღვეული მინამ, სანამ ქართველი ხალხი ფეხზე არ წამოდგება, უცხო ძალის მიერ ხელოვნურათ მის ეროვნულ სხეულზე დადგმულ ყალბ ზედაპირს არ გადაადგებს და არ აღადგენს ნამდვილ ქართულ საზოგადოებრიობას, რომლის გასწვრივ ყველასათვის ადვილი იქნება მისი ნამდვილი სახის დახსნა.

დ. მ.

თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ შ ი .

(წერილი მესამე)

1919 წლის რევოლუცია ერთბაშად დაგვატყდა თავს. არ ვიყავით მისთვის მზად. არ ვიყავით მომზადებულნი, რომ გამოგვეყენებია რევოლუციის შექმნილი შესაძლებლობანი. არ გვქონდა არც ერთი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცენტრი, რომლის გარშემო შემოგვკრებილიყავით. ვრცელმა მხარემ, 12 მილ. მცხოვრებით, არ იცოდა, თუ საიდან და როგორ რა დაეწყო. იგი თითქმის გარეტიანებული შეპყურებდა მოულოდნელს და მისთვის სრულიად გაუგებარ ამბავს—«თეთრი მეფის» ელვისებურ სისწრაფით დამხობას, რომელიც გუშინ ისე მძლავრი სჩანდა. 1916 წლის მეორე ნახევრის საერთო აღრევის და არეულობის ხმა ჯერ კიდევ არ იყო მიმწყდარი. სემირეჩიეში ყაზახ-ყირგიზებს კიდევ ხოცავდნენ... ათი ათას ოჯახთა ქართველები ისევ განაგრძობდნენ ჩინეთში გადასვლას, რომ თავი დაეხრათ კუროპატკინის დამსჯელ რაზმებისაგან... ვადამწვარი ყანები, განადგურებული ბაღები, დანგრეული სასწლეები, მიწასთან გასწორებული ქალაქი ჯიზაკა—ყველას თვალწინ უდგა კიდევ... საფიქრებელი იყო, რომ სისხლიანი მთავრობის დაცემის შემდეგ ხალხი კვლავ ამოძრავდებოდა, დაიწყებოდა აჯანყება. მაგრამ ეს არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ კი არა, რომ ხალხს უყვარდა და ენდობოდა რუსის დემოკრატიას. ამაზე სულ მეტია ლაპარაკი, ვინაიდან რუსის დემოკრატიას არც ვინმე იცნობდა ჩვენში. მიზეზი სხვა იყო, რაზედაც აქ არავფერო ვიტყვი...

რევოლუციამ ერთმანეთის პირისპირ დააყენა ორი ერთმეორისთვის უცხო ელემენტი: გარედან მოსული რუსობა (4-5 პრაც.) და შვეიდრი თურქესტანელები (95-96 პრაც.). პირველებს უნდოდათ თავის წინანდელის ბატონობის შენარჩუნება, მეორეების მისწრაფება იყო ჩაგვრისა და მორჩილების უღლიდან გამოსვლა და სრულუფლებიან მოქალაქობრივობის მოპოვება. გუშინ დევნილებმა და ღირსება აყრილებმა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ დაბლა დაეკრათ თავი ყოველი აფიცრისა და ყოველი ჩინისა და ხარისხის მოხელისათვის, მოქალაქობრივობა მოითხოვეს. აქაიქ გაისმა სიტყვა «უმრავლესობის უფლე-

ბის». ამ ორი ნაწილის შედუღება შეუძლებელი იყო. მხოლოდ ფერგანის ერთ ადგილას, სადაც ხელმძღვანელობა ესერებს ხვდათ წილად, იყო ცდა შეერთებულ ორგანიზაციულ გამოსვლისა. ხოლო ამ მაგალითის არავინ მიბაძა და ეს ცდაც მონათლეს «ცალკე დემაგოგების უპასუხისმგებლო გამოსვლის» სახელით. მაგრამ თურქესტანის სინამდვილის მიხედვით ასეთი მუშაობა იქნებოდა სწორი...

ფაქტიურად მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში იყო. სამწუხაროთ ამ საბჭოებმა ითამაშეს ძველი საიმპერატორო რუსეთის ზარბაზნის და სალდათების როლი. ჩვენ, ერთი მუჟა თურქესტანელ რევოლუციონერებისა, ისე გატაცებულნი ვიყავით რუსის სოციალისტურ პარტიებით, ისინი მიგვაჩნდა განმათავისუფლებლად, მოგუწოდებდით მთელს თურქესტანს შემოკრებილიყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დროშის გარშემო. მაგრამ ჩვენვე დავინახეთ მალე, თუ რა საფრთხე წარმოადგენდნენ საბჭოები, ვინაიდან ისინი აგრძელებდნენ ძველი მთავრობის საქმეს.

«მობილიზაციიდან გამოსულ ჯარისკაცს—შემდეგ წითელ გვარდიელს—საშუალება მიეცა თურქესტანში თავის ნებით მეტი აელა პირდაპირ ხალხისაგან, ვიდრე მას მისცემდა ადმინისტრაცია, რომელიც ასე თუ ისე მაინც ანგარიშს უწყევდა მუსულმანობის ზედა ფენებს—სამღვდელოებას და შეძლებულ კლასებს. რაც შეეხება თურქესტანში გადმოსასვლელ რუსებს, ისინი თებერვლის რევოლუციის დღიდან ისე თარეშობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლებში, როგორც საკუთარ ჯიბეში.

რუსის უმცირესობა, პრივილეგიებით აღჭურვილი, მრავალი წლის განმავლობაში ისე აღიზარდა აქ, რომ მას უნდა ეკუთვნოდა უპირატესობა, შეეჩვია კოლონიალურ ცარცვა-გლეჯას. დარწმუნებული იყო, რომ რაც კი რამ დასჭირდება, ყველაფერი შეუძლია წაართვას თურქესტანელ მკვიდრს. აქედან წარმოსდგა, რომ რუსეთის რევოლუციას თურქესტანში თავიდანვე დაეტყო კოლონიზატორული ვადახრა...»

ეს სიტყვები ეკუთვნის ზოლშევიკს გ. საფაროვს და მე განგებ ამოვწერე აქ, რომ არავინ დამწამოს მიდგომით შეფასება 1917 წ. რევოლუციისა. ამას უნდა დავსძინო, რომ რუსის მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებმა, როცა არ შევეურიგდით მათ განუყოფელ ბატონობას ჩვენი ქვეყანაში, თურქესტანელი რევოლუციონერები საკუთარი ხალხის მტრებად მოგვნათლეს და კერძოდ ამ სტრუქტურების დამწერი საფაროვის თანამაზრებებმა ორჯელ კანონის გარეთ გამოაცხადეს.

თურქესტანის ეროვნულ მებრძოლთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო. ერთის მხრით ჩვენ გვეშინოდა საკუთარ რეაქციონურ-კლერიკალებს, რომელთა დიდი გავლენა ჰქონდათ მასებზე. მეორე მხრით, რევოლუციამ, რომელსაც ისე შეგხაროდით, მიიღო კოლონიზატორული ხასიათი. სცილასა და ხარიბდას შუა მოვეწყვდიეთ და გამოსავალს ვერ ვპოულობდით. საკუთარი ძალები არ გვეყვნდა და დამოუკიდებელი მოქმედება თითქმის არ შეგვეძლო. ეროვნულ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც მე ვიყავი თავიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე, განუწყვეტლივ მოდიოდა საჩივრები ადგილობრივ საბჭოების უწყისობაზე. მთელი თურქესტანის საბჭო მედგრადა იცავდა იმათ რევოლუციონურ უფლებებს. ყველაზე უფრო საზღვრელი მდგომარეობა შეიქნა მაშინ, როცა ყოველ მხრიდან აგვაესეს თხოვნებით... დაგვიბრუნეთ ძველი ბოქაულებიო!

სამწუხაროთ, «რევოლუციონურმა დემოკრატებმა» და ვერც საბჭოებმა ვერ იგროძნეს მთელი საშინელება ასეთი მომართვისა!

არაფერს ვიღარაკებ ადგილობრივ საბჭოების მუშაობაზე. ეს იქნებოდა მეტად შესაძარი სურათი...

აი მთელი თურქესტანის საერთო საბჭო. აქ არიან წარმოდგენილი მხოლოდ სოც.-დემოკრატები და რამდენიმე ესერი. ყველა ძველი სოციალისტია. ეს უმალესი რევოლუციონური ცენტრი თავგამოდებით მხარს უჭერს ყოფილ ტაშკენტის ქალაქის თავის (მთავრობის დანიშნით) მალიცკის პროექტს, რომ დაწესდეს ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი საქალაქო საბჭო—მუსულმანებისთვის ცალკე და რუსებისთვის ცალკე. მე როგორც ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს მაჯვრებდენ, რომ მიმეღო და ხელი მომეწერა პროექტზე. და თავის თხოვნას ასე ასაბუთებდენ:

— ყველა ადგილობრივი მკვიდრი თქვენისთანა ან ზოგიერთი თქვენი ამხანაგისთანა რომ იყოს, მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ დღეს შეუძლებელია, რომ მათ უმრავლესობა შეადგინონ რუსების წინამდებ...

მე ისლა დამრჩენოდა, რომ ავდექი და გავშორდი მათ.

მეორე მაგალითი: ძველი ესერი მ. სოსნოვსკი რუსის ორგანიზაციებს ხელს აწერიებდა პეტროპოლზე დრ. მთავრობისათვის, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებში რუსებს და თურქესტანელებს ცალცალკე მიეღოთ მონაწილეობა. როცა პირადად შევეკითხე ამის თაობაზე სოსნოვსკის, რომელიც თითქმის თანაგვიგროძობდა 1916 წ. ამბების შემდეგ. მან მიპასუხა: რუსებს არ გვინდა, რომ დეპუტატობა მივიღოთ რა-

გორც თქვენგან ნაჩუქარი, თქვენის სიებით. აქ თურქესტანში ჩვენ ეროვნული კულტურის მომხრენი ვართ.—ხოლო როცა მოვაგონე არა შორეული დრო (1916 წ. აგვისტო). იგი რომ რუსთა და მუსულმანთა ძმობას ქადაგობდა თურქესტანში, მსოფიანმა ესერმა მომიგო: მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა არისო.

არას ვამბობ ჩვენი ეროვნულ ორგანიზაციების მოღვაწეობაზე. ჩვენი მუშაობა გამოისახებოდა იმაში, რომ აღვუსხავდით რუსის ჯარის კაცების ძალმომრეობას, ვაწარმოებდით სიტყვიერ ბრძოლას ეროვნულ თანასწორუფლებიანობისთვის, მოვალენებდით რუსებს რევოლუციის ღონისძიებას... და ამის გამო რუსი ამხანაგები გვეძახოდნენ «ვიწრო ნაციონალისტებს», ხოლო ჩვენი კრელიკალები გვლანძღავდენ რუსების ლაქიების სახელით. აღარ იყო არავითარი იმედი შეთანხმებული მოქმედებისა რუსის ორგანიზაციებთან. საბჭოებსა და დრ. მთავრობის კომიტეტს ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა თურქესტანელებთან, რომ არც საერთო ავტონომიის იმედი იყო *)... ჩვენი კრელიკალები გაერთიანდენ «უღმესი საზოგადოებში», დაიწყეს აგიტაცია, რომ დაუყენებლივ გამოცხადებულიყო თურქესტანის ავტონომია, შემოღებულიყო შარიათის სასამართლო, ყველა საადმინისტრაციო დაწესებულება და თვით საოლქო კომისარიატი გადასულიყო მართო მუსულმანების ხელში...

ჩვენ კი, აგრე წოდებულნი ნაციონალ-რევოლუციონერები, მტრები შარიათისა, ძველი ადათების, მომხრენი გავეროპიელობისა, ავტონომიის საკითხში დავრჩით ჩვენი რეაქციონერების მარჯვნივ. ყოველნაირად ვცთილობდით რუსის რევოლუციონერ დემოკრატისთან შეთანხმებას. ვფიქრობდით მისი დახმარებით ჩვენი რევოლუციონური პროგრამის განხორციელებას. ხოლო რუსის რევოლუციონურმა დემოკრატებმა თავის მოუფიქრებელის მოქმედებით განზე გაგვაგდო. დარჩა ერთად ერთი იმედი დამფუძნებელი კრებისა. ამის არჩევნები გვიანდებოდა. ხალხის განწყობილება რუსების მიმართ უფრო და უფრო მტრული შეიქმნა.

ერთ დამეს ტაშკენტის მაღაზიების რუსული წარწერები სულ შავად შედებეს. ტაშკენტი დაშორდა ნაციონალ-რევოლუციონერებს. ჩვენი ძალები მივმართეთ ფერგანსა და სხვა ოლქებში და იქ მოვახერხეთ უმეტესობის მიღება საქალაქო თვითმართველობებში. ჩვენ გავიყვანეთ მთელი ჩვენი სია ფერგანში დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ესევე იყო მოსალოდნელი სამარყანდსა. კასპისი იქითა მხარესა და სემირჩიევიში. სუსტი იყო მდგომარეობა შედარებით სირ-დარის ოლქში, სადაც დეპუტატთა რიცხვის ნახევარს მაინც გავიყვანდით. მაგრამ რა უნდა გავეკეთებია რუსეთის დამფ. კრებაში, ჩვენმა ეროვნულმა კომიტეტმა თავის მომავალ დეპუტატებისთვის შეიმუშავა გეგმა. მახსოვს ზოგიერთი მუხლი: იქო-

*) 1917 წ. სექტემბერში მე დამნიშნეს მთავრობის კომიტეტის წევრად. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ დიდი შეცდომა იყო ამ თანამდებობის მიღება ჩემის მხრით და ოქტომბრის 21 კიდევ გადავდექი.

ნით მჭიდრო კონტაქტი უკრაინელებთან, მოითხოვთ თურქესტანის ავტონომია და თუ უარი მიეღოთ, უკან გამობრუნდით, რომ ადგილობრივ აწარმოთ რევოლუციონური პროპაგანდა თურქესტანის სრული დამოუკიდებლობისათვის.

ასე და ამგვარად რევოლუციის პირველი მოწოდება ერთა ძმობის დამთავრდა მეტროპოლი სეპარატიზმის აღორძინებით. მაგრამ ჩვენ ვერ მოვასწარიტ სეპარატისტული მუშაობა. მოვიდა ოქტომბერი.

მუსტაფა ჩაკავე.



უკრაინა და რუსეთი.

კერენსკიმ თავის ყოველკვირეული გამოსცემის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად გამოაცხადა ბრძოლა რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულ ერების განმათავისუფლებელ მოძრაობის წინამძღვ. იგი ვერ შერიგებია ამ ერების ეროვნულ მისწრაფებას, ყველას ემუქრება და ხშირად აბეზღებს კიდევ მათ ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე—საერთაშორისო გართულებას და ომის გამწვევას ლამობენ. საყურადღებო წერილი მოათავსა ამის შესახებ უკრაინელმა ა. შულგინმა ჟურ. «პრომეთეს» უკანასკნელ ნომერში და გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს წერილის ზოგიერთ ადგილს.

«სრულებით ვეთანხმებით ბ. კერენსკის, ამბობს ჩვენი ავტორი, როდესაც აცხადებს, რომ ბოლშევიკების სოციალურმა და პოლიტიკურმა რეჟიმმა, წითელი ჯარის თავდასხმამ უკრაინასა და კავკასიაზე, ამ ქვეყნების სამხედრო ოკუპაციამ დიდათ შეუწყო ხელი პატრიოტულ სულიერ განწყობილებას, თუ «სეპარატისტულს», როგორც რუსები იტყვიან. მაგრამ ნუ თუ კერენსკის დაავიწყდა, რომ ეს ეროვნული მიდრეკილება გამოცხადდა უკრაინასა, კავკასიასა და თურქესტანში და თვით კახაკთა შორის ჯერ კიდევ მაშინ. როცა იგი რუსეთის ბედს განაგებდა? ნუ თუ დაავიწყდა თავისი ჩამოსვლები კიევში, მოლაპარაკება ცენტრალურ რადას წევრებთან, მათთან შეთანხმება და მერე გამწარებული ბრძოლა კიევის წინამძღვ? განა დაავიწყდა ის ამბობს, რომ მთელი რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს 1917 წ. სექტემბერში მის პარტიას—რუსის სოციალ-რევოლუციონერებს—რომელიც ყველგან იმარჯვებდა რუსეთში, სამარცხინო დამარცხება ხვდა წილად უკრაინაში უკრაინელ სოციალისტების მეფნებით, რომელთაც მიიღეს ყველა ხმების 88 პროცენტი? დანარჩენი ოცი პროცენტი კი განაწილდა სხვა უკრაინელ, პოლანელ, ებრაელ და რუსის პარტიებს შორის. უეჭველია ბოლშევიკურმა რეჟიმმა გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, მისცა მას ახალი ღონე, მტკიცე ნებისყოფა, მაგრამ მას არ წარმოუშვია მოძრაობა».

ა. შულგინი აღნიშნავს ეროვნულ მოძრაობის ზრდას საბჭოთა კავშირში და ასეთ კითხვას სვამს: «რა საშუალებით უნდა ებრძოდნენ დაჩაგრული ერები თავის დამხაგრელებს? პასუხი ადვილია. მათ წინაშე დასავლეთის ერების მაგალითი, რომელთაც

უკვე მოიპოვეს თავისუფლება. უნდა მივდიოთ ამ მაგალითს. საყოველთაო აზრია, რომ რამდენად შესაძლებელია, თავიდან უნდა ავიცილიოთ სისხლის ღვრა და უნდა ვეცადნეთ საქმის მოგვარებას მშვიდობიანის გზით. მაგრამ ვერსად ნახავთ ისეთ მშვიდობის მოყვარე ადამიანს, რომელმაც აუტრიალოს ერს თავის დაცვა მოძალადეების წინამძღვ. როცა ყაჩაღი სახლში შემოგვივარდებათ, უფლება გაქვთ გააქვეთ. მით უფრო ერს აქვს უფლება გამართოს მოლაპარაკება სხვა ერებთან და მათ მთავრობებთან თავის დაცვის საქმის გამო. უდავოა, რომ ყოველ ერს, რომელმაც განიზრახა, იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, უფლება აქვს გადაიტანოს თავისი საკითხი საერთაშორისო ნიადაგზე.

მაგრამ ბ. კერენსკის პურნალი მისი თანამშრომლის სოლოვეიჩიკის კირით აცხადებს, რომ ეს აკრძალულია. არაო, უკრაინელებს, კავკასიის ერებს, არა აქვთ უფლება ერთმანეთს მოელაპარაკონ, არც გამართონ მოლაპარაკება სხვა უკვე განთავისუფლებულ ერებთან. რატომ? იმიტომ რომ ეს არ მოსწონს რუსის «დემოკრატის». არ მოსწონს განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია უკრაინაზე».

ავტორი დასასრულ აღნიშნავს, რომ რუსებისთვის ძნელია განთავისუფლება ძველი «დიდებისაგან», შეუირიგდენ რუსეთის ახალ ქარტას, ახალ საზღვრებს. «ხოლო დადგება დღე, როცა ისინი შეიგნებენ ამის გარდაუვალობას, ვინაიდან დამონებული ერების აღდგენას და დამოუკიდებლობას ვერაფერი შეაჩერებს. ეს ერები არ დამშვიდდებიან, ვიდრე არ მოიპოვებენ საბოლოო გამარჯვებას.»

რ ა ხ ს წ ე რ ე ნ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ს ე .

პარიზის «პოპიულერი» კვლავ უბრუნდება რუსეთის შინაურ მდგომარეობას და ასე ახასიათებს: «სამ თვეზე მეტია, რაც საბჭოთა მთავრობა და მისი პრესა ცთილობენ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან შიგნით და გარეთ, თითქოს სურსათის ნაკლებობა სრულებით არ იყოს ისე მძიმე, როგორც ამას უცხოეთის განხეთები სწერენ.

მოსკოვის განხეთები და მათი განყოფილება პარიზში აცხადებენ, რომ მიღებულ ზომების მეფნებით ყოველი დაბრკოლება დაძლეულია და დამოკიდებულება მთავრობასა და გლეხებს შორის საუკეთესოა. ასეთი განცხადება სრულებით არ ეთანხმება მწარე სინამდვილეს, და ის ვერავის მოატყვილებს გარდა იმისა, ვისაც თვითონ უნდა თავის მოტყვილება. დადგა ჟამი, როცა ბოლშევიკებს აღარ ძალუქთ სიმართლის დაფარვა, ვინაიდან ფაქტები უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სიცრუე.

ორი დეკემბრის «პრავდა» მწარედ გაიძახის: გამოკვების გეგმა ვერ განხორციელდა, დამშეული ადგილებისთვის ხორბალის მომარაგება ცარიელ სიტყვად დარჩაო. ხოლო «პრავდა» ყველაფერს ამას აბრალებს ამა თუ იმ ადმინისტრაციას, ამა თუ იმ ორგანიზაციას. ლაპარაკობს ორგანოების ბიუროკრა-

ტიზმისა და პასივობის შესახებ. მაგრამ ვერ უარყოფს მინც საქმის ვითარების უფრო ნამდვილ მიზეზებს და მოუწოდებს კომუნისტებს. ენერგიულად ვებრძოლოთ კულაკებს და ხორბლის გამოყიდვების გაფრთხილებას. ამავე დროს გაზეთი მოითხოვს, რომ ნუ ვატყვილებთ წონაში გლეხებს, როცა ხორბალს ვყიდულობთ...

ბოლშევიკების გაზეთებს რომ ჰკითხულობთ, გიკვირთ, რომ ამდენ მნიშვნელობას აძლევენ კულაკებს. და რაღაც სასაცილო საშუალებით უნდათ კრიზისის დაძლევა. საბჭოთა სტატისტიკით, კულაკები 2-3 პროცენტს თუ შეადგენენ მთელი გლეხობისას და ეს მცირე რიცხვი როგორ ახერხებს ესოდენი დაბრკოლება შეუქმნას მთავრობას, «პროლეტარიატის დიქტატურას», რომლის საფუძველზეც მთელი ხალხი, როგორც თვითონ ბოლშევიკები გვიმტკიცებენ? რაშია საქმე? «პრავდის» ნომერს ვერ აიღებთ ხელში, რომ არ წაიკითხოთ: «გაეაძლიეროთ ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ». ან «კულაკებმა თავი წამოყვეს», ან «კულაკები ხელს უშლიან გლეხების თავისუფალ არჩევნებს» და სხ.—ყოველი კუთხიდან იმის ცნობაა, რომ კულაკები საბოტაჟს უცხადებენ კრებებს, აფრთხობენ ღარიბ გლეხებს, სწვავენ საბჭოების ბინებს, კომუნისტების ბედლებს, სდევნიან მთავრობის ერთგულ მოხელეებს. საბჭოთა გაზეთების თანამშრომელ გლეხების კონფერენციასე ულიან-ნოვამ განაცხადა: შარშან მთელი წლის განმავლობაში 13 გლეხი კორესპონდენტი მოკლეს, წელს კი ჯერ მხოლოდ ავვისტომდე 32 არის მოკლული...

ნუთუ მთელი წინააღმდეგობა და ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მხოლოდ კულაკების საქმეა? ოღონდაც რომ ბავშობა იქნებოდა ამის ფიქრი. თუ კულაკები ამდენ საქმეს სჩადიან, აღბად მათ მხარს უჭერენ გლეხთა სხვა ფენები, მათ თანაუგრძობენ სხვებიც. თუ ასე არაა, მაშინ რასაც კულაკების მოძრაობას ეძახიან, ესაა ნამდვილად მთელი გლეხობის მოძრაობა და უკმაყოფილება. ცხადია, გლეხობა მოწყდა საბჭოებს და თავის საკუთარი გზით მიდის».

ქართველები ხალხმართში.

კონცერტი-სალამო. კვირას 9 დეკემბერს, სამოქალაქო ინჟინერთა განიერ დარბაზში, პარიზის ქართველ სტუდენტთა კავშირმა გამართა საქველმოქმედო კონცერტი-სალამო. რომელსაც ბლომათ დაესწრო ხალხი, მათ შორის ბევრი ფრანგი ოჯახობით, აგრეთვე რამდენიმე ინგლისელი-ამერიკელი. საკონცერტო ნაწილში დიდი ალტაცება გამოიწვია ქართული სიმღერების მოხდენილ გადმოცემით ჩვენმა დიმსახურებულმა არტისტმა ბ. მიშელ დარიალ-ნანობაშვილმა. ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე ქ.ბ. გობეჩიას დაკვრამ ჰიანურზედიელ ლეკურს.

სიამოვნებით აღსანიშნავია. რომ ქართული მუსიკა გზას იკაფავს ხელოვნების მსოფლიო დედაქალაქში-პარიზში. მით უფრო დიდი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე იმ პირთ, ვინც მოისურვებს ქართულ კონცერტების გამართვას აქ. არ უნდა დავივი-

წყოთ ისიც, რომ რეპერტუარსაც განახლება ეჭივრება. აუცილებელია გუნდის დაარსებაც. სტუდენტთა საღამოს დიასახლისად ქ.ბ. თელიკო ნიკოლაძე-კოკე იყო, რომელიც თავისი დაუღალავი მოღვაწეობით დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ღარიბ სტუდენტობას.

ბ. ს. გ. კახიანი.

ამ დღეებში პარიზის ერთ-ერთ საავთმყოფოში მცირე ავთმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტუდენტი გ. კახიანი. ბოლშევიკების ბარბაროსობის ერთი მსხვერპლი კიდევ მიიბარა უცხოეთის ცივმა მიწამ. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მეორე დღესვე განსვენებული მომუშავე რიგებში ჩადგა და თავის წვლილი შექონდა ეროვნულ ბრძოლაში, რაც ცხადია შეუძნეველათ ვერ დარჩებოდა მუხანათ მტრისთვის და გიორგი ციხიდან სხვა ამხანაგებთან ერთად უცხოეთში გადმოასახლეს. აქ მისი სულიერი სიმტკიცე, მომავლის სრული იმედი, მხნე საქმიანობა ყველასთვის მაგალითის მიმცემი იყო. მაგრამ უკუღმართმა ბედის ტრიალმა ის მოსწყვიტა მომავალ თავისუფალ საქართველოს. მას გამოაჩნდა ფილტვების ავთმყოფობა და მიუხედავად მის ახლო მეგობრების ყოველ-გვარ ცდა-დახმარებისა უღმობელმა სენმა თავისი გაიტანა და უღროფოთ გამოგვტაცა საყვარელი თანამებრძოლი.

პ. ს.—ძე.

ბიბლიოგრაფია

გამოვიდა ფრანგის დრამატურგის კრებიონის პიესა საქართველოს ისტორიიდან «ფარსმან მეფე ივირიისა», თარგმანი გ. გვაზავასი. წიგნის დასაკვეთად უნდა მიმართონ Gvasava, 8, Francois Coppée, Paris 15. წიგნი ღირს ხუთი ფრანკი.

მეცნიერულ კმა.

საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტიკურ გადასახლებულთათვის:

ჩარკვიანი ლევან, ბარამიძე გერმანე, ურუმაძე ავთანდილ ურუმაძე ერასტო—თითომ-25 ფრ. დოლიძე ვლადიმერ, მელუა მირიან, იმნაიშვილი ქრისტიანოვი, ბოცვაძე ივანე, ყლენტი სპირდონ, ლომთათიძე დავით, გულდუმიძე დავით, ჩხიკვიანი ვ. ცინცაძე გრ., ორაგველვაძე ნიკ.,—თითომ—20 ფრ. ყორდანიან გიგო, ხელაძე დავით, კოსტავა ალექსან., მუხამავრია თეოფილე,—თითომ 15 ფრ. მაქავარიანი ერასტო, ჭიჭინაძე ალექსანდრე, ბარამიძე მირიან, ჭელიძე გრამიტონ, მედეა ხელაძისა, ინკწორველი პ., ურუმაძე ლუკა, კვაჭანტირაძე ვლ. მეგრელიძე ის., თაყაიშვილი ნ., მელიქაძე ბაყათარ, ხომერიკი ალ., მათითაიშვილი სერგო, მარჯანიძე ვასო, ყიფიანი რუბ., კვერელიძე დიომიდე, ზავთასი ვლად., ჩიკვილაძე სიმონ, წერეთელი გრ., ვადაქკორია აკაკი, ბარამიძე გრიგ., წიგწივაძე გერმანე, მელიქაძე ალექსანდრე, შელია იოსებ და ბლიაძე სიმონ—თითომ 10 ფ. სულ 610 ფრ.



«დამოუკიდებელ საქართველოს»
1926—28 წლების ხარჩევი *)

მეთაურები:

- 1. დამოუკიდებლობისაკენ. 2. ერთი ძაძვში. 3. რუსეთ-საფრანგეთის კონფერენცია. 4. ერთა ლიგა. 5. სამარადისო თარიღი. 6. მარშალი პილსუდსკი. 7. ვინ დავკარგეთ. 8. აჯანყების წლისთავი. 9. მტრის ბანაკში. 10. ევროპის სტაბილიზაცია. 11. მოსკოვის საგარეო პოლიტიკა. 12. ბოლშევიზმი და ერები. 13. მეშვიდე წელიწადი. 14. ეროვნული კითხვა ს.ს.რ. კავშირში. 15. ხმა აქარიდან. 16. უკანასკნელი კრიზისი. 17. სამშობლოს დიდებისთვის. 18. დიდი გარდატეხის წინ. 19. რუსები და ჩვენ. 20. თავდადებულთა სსოვნას. 21. აფხაზეთი. 22. საბჭოთა 10 წლისთავი. კიდევ რაკოვსკი. 23. დაუჯერებელი სიბეცე. 24. ანტიბოლშევიკურ ბანაკში. 25. ჩვენი პერსპექტივები. 26. სომხები და ჩვენ.—უპასუხისმგებლო ნაბიჯი. 27. უკრაინა. 28. კავკასიის სადარაჯოზე. 29. ჩვენი დროშა. 30. სადღეისო ამოცანა. 31. რუსეთის ნავთი. 32. ქართველი ერი. 33. პლანეტარული იმპერიალიზმი. 34. უიათურის ბედი. 35. იწყება. 36. მოსკოვის დიპლომატია.

წერილები:

აბ. დ—ლი მ.: ქართველ მუშათა განმათავისუფლებელნი 19.

ამირეჯიბი მ.: ჩვენ და ისინი 1. ოცდახუთი თებერვლის შემდეგ 2. არ შეამოკლოთ ქართული 4. «რექტორი» ლენტი 7. სუტკენინები და პოლიტიკური პრანციები 8. ჯაცოს ხიზნები 10. მზექალა 12. იდეოლოგიურ ფრანტზე 15. ქართული ისტორია სიონის სამრეკლოს წვერზე 16. ჩინგის ყაენის სამკვიდრო 17. ბოლშევიკური დიდმოურავიანი 23. სტალინი 24. ორასი წლის წინეთ 26. საბჭოთა საქართველოში 27. ნიკოლაძე 28.

ბერმუტინი ედ.: საქართველოს უფლება 5.

ბეგუშვილი კვ.: სინამდვილე და ბოლშევიკური სიკვრივე 4. ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციის მოლოდინში 27.

გვანაგა ვიდრე: საერთაშორისო სამართალი 1. კავკასიის პრობლემა 3. საქართველოს საკითხი ამერიკაში 4. ჩვენი დღეობა 5. კავკასიის პრობლემა 8. ვ. ჩერქეზიშვილი 10. «ფარსმან მეფე ივერიისა» 11. წარსული წელი 14. გაუგებრობა 19. პოლიტიკური მანტაყი და ბერლინის ჩერვონცები 24. კავკასია კავკასიელებს 26. ეროვნული დღეობა 29. 1924 წ. აჯანყება 32. ჰუვერი 36.

გილისი ვ.: 26 მაისისთვის 29.

გვარჯილაძე ვ.: ირლანდიელების ბრძოლა თავისუფლებისთვის 27, 28, 30—32.

*) ციფრი აღნიშნავს ნომერს, რომელშიაც დაბეჭდილია წერილი.

ვოშენია იოს.: ბრძოლა გამარჯვებამდის 1. მოსკოვის საიუბილეო მიღწევანი 23.

ვუშაგი: არამხადები 3. ვ. ჩერქეზიშვილი 10. ომი კანონს გარეშე 32.

დ. მ.: ფრანგული წიგნები საქართველოზე 35—36. დევსი: საუკეთესო სურვილები 29.

ვანდანი მ.: წარსულის შავი ფურცლებიდან 5. ეკონომიური აღორძინება საბჭ. საქარ. 21. ვახნაძე დ.: რას გვასწავლის ისტორია 9 და 11. საქართველო და კავკასია 16.

—ვა: აფხაზეთი და საქართველო 7.

ვ. ნ.: საქართველო საქითხები 17.

თაყაიშვილი ე. პრ. პ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო 18—19.

თიბა ფრ.: ძვირფას ქართველ მეგობრებს 29.

ინგილო რ.: გლოვა იმედით 14. მუწუნარების სამეფოდან 21. ქართლის ბედი და მტერთა სინდისი 28. იტალიური ფურცლები 32, 34.

კანდელაკი ვ.: საქართველოს საბიუჯეტო უფლება 2. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან 22—24.

კავი: ბოლშევიზმის კრიზისი 12. უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა 13. ჩვენ გავიმარჯვეთ, თქვენ დამარცხდით 17. კავკასიის ერთა სოლიდარობისთვის 31. რუსეთის იმპერიის ღირებულება 33.

კომანდო: ჯაცოს პარტია 20.

ლაბერტი: კავკასიის ერები და კავ. საკითხი 31. მაკედონელი: ქართველ მეგობრებს 29.

მარგველაშვილი ტ.: რუსეთის მდგომარეობა 10, 12. მარვე: საქართველოს სიმდიდრე 29.

მარტენი ე.: ვინც ესხმის ერთს, ესხმის მეორესაც 3. 26 მაისი 6. წარსული და მომავალი 29.

მ. —მე: საქართველოს გაზაფხულისთვის 5. ფიქრები თანამედროვე ქართულ მწერლობაზე 33.

მ.: თურქეთი 31.

მანარველი მუსა: გატრუებული იმედი 34. ნ. —მე: ილუზიის ტრაველია 9.

ნაკაშიძე ნ.: ჩვენი იმედი 8.

ნუცუბიძე ი.: შესვალ-ინანებ, არ შესვალ-ინანებ 3. 26 მაისი 5. ჩვენი უნივერსიტეტი და მოსკოვი 8. ჩვენი მომავალი 13. ბოლშევიზმის ნანგრევებზე 17. მოჯადოებული წრე 20. ომით თუ უომოთ 21. საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა 22. 26 მაისი 29. ახალი წელი 25. საბჭოების სამოთხეში 33. სასოწარკვეთილი ნაბიჯი 34. საით მიდიან 36.

ნოზაძე ვ.: ძველი და ახალი საქართველო 15—16, 18—19. ბარათი ეროვნულ საკითხზე 30. სანათო პოლიტიკა და კავკასია 34. ჩვენი მოკავშირენი 35.

ფლავი: თქვენ მთხვოთ... 5.

ვაპავა ედ.: საქართველოს სახალხო მეურნეობა 31. ვანდანი ნ.: ერთი ფრონტი 1. 26 მაისი 5. ექვსი წელი 14. ათი წელი 29.

- რამიშვილი ნ.: დამორჩილებულ ერთა ბანაკში 2. ბრძოლა მემკვიდრეობისთვის 11. ძალა თუ უძლურება 19.
- რდზბეგი: როგორ მუშაობენ ბოლ. პროპაგანდისტები 14.
- ს. —ძე: საქართველო რუსეთის კალონია 25.
- სერდმეცხვი ვ.: არიან გზები... 5. მოგონება საქართველოზე 29.
- სიღუკე: საქართველოს თავისუფლება 6. საქართველო ცოცხალია 29.
- სნაუდგინი: თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართ. მეგობრებს 5. «დამ. საქართველოს» 29.
- ს. ფედ.: სამშობლოსათვის შეწირულნი 8.
- სტუარტ ჯ.: მოლოცვა ამერიკიდან 5.
- უდოლარი: ქართველი ემიგრაცია და საერ. ფრ. 26. ფინანსალაგა ს. ჩვენი სამი მცნება 1. სამშობლო უნდა დავიბრუნოთ 2. ევროპისკენ თუ რუსეთისკენ 4. ბოლშევიზმი და ეროვნება 5. დემოკრატია 9. შრომა და ცოდნა 12. ქართველი ახალგაზღვრება უცხოეთში 15. მათი კავშირი და ჩვენი 17. საქართველოს დამოუკიდებლობის მტერმოყვრები 23. ტფილისის უნივერსიტეტი 25. მაისი და თებერვალი 29. საფრანგ. ქართვ. საზ. კრებისთვის 35.
- ქავთარაძე ვ.: ვინ აკეთებს ომს 15.
- შავიშვილი ს.: გერმანიის მიღება ერთა ლიგაში 9. ერთა ლიგის მერვე ყრილობა 22.
- შაბ. ედ.: კავკასიის ერთა განთავისუფლებისთვის 14. სისხლის საფასური 25.
- ჩხვიძე ვ.: რა ვქნათ დღეს 3. უკანასკნელი წერილის ნაწყვეტი 7.
- ჩხენკელი ა.: ტფ. უნივერსიტეტის დაარსება 15.
- ჩ. ა. პირველი დიპლომატ. ნაბიჯი 29.
- ჩიკავე მ.: თურქესტანში 34—36.
- წერეთელი მ.: ვენენდოკის წიგნი 18.
- ძე ივ. კომუნისტური სპეკულაცია 31.
- Hindrey: ესტონეთის ჯარი 32.

საქართველოს საკითხის გარშემო.

საქართველოს საკითხი უცხოეთში 1. ერთი დიპლომატის აზრი საქართველოზე 1. საქართველო საკითხი პრესაში 3. ცნობა შესახებ ოფიც. წარმომ. დანიშნვისა შეერთებ. შტატ. მიერ საქარ. მთავრობასთან 4. 5. სეროშვეცკის ლექციები საქართველოზე 5. საქართველოს საკითხი უცხოეთში 5. საქართველო. საკითხი უცხოეთში 9. ინგლისის პრესა საქართველოზე 13. ადამიანის უფლებათა ლიგა საქართველოსთვის 13. საქართველო და ინტერნაციონალი 14. კათალ. ამბროსის კონდაკი გენუის კონფერენციას 17. საქართველო. საკითხის გარშემო ქენევაში 18. კავკასიის და უკრაინის ერების მემორანდუმი 22—23. ი. წერეთელი შვეიციაში 25. უცხოელები საქარ. შესახებ 26. სვიმონი-შვილი 26. სამარცხვინო ბოძზე 27. ევროპის პრესა და 26 მაისი 30. ოდენკურიდან 30. საქ. საკითხი 34-35. მოხსენება საქართველოზე ლონდონში 35.

ქართველები უცხოეთში.

ქართველები საფრანგეთში 2, 3, 5, 6, 9, 11, 13, 14, 15, 16, 17, 18, 22, 25, 34. ქართველები გერმანიაში 3, 4, 6, 11, 18, 27, 33, 34. ქართველები პოლონეთში 15, 18, 27, 35. ქართველები ჩეხოსლოვაკიაში 18, 21. ქართველები სარბინში 20, 23, 33. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 17. 5. ყორდანისა და ბადადების 60 წ. თავი 25. ქართ. უნივერს. დღესასწაული 26—27. 26 მაისი უცხოეთში 30. სსოვნის დღე 33.

კორესპონდენციები.

სმა სოლოვეკებიდან 5. რუსის ბოლშევიკები სპარსეთში 6. საქართ. უნივერსიტეტი და რუსული პოლიტიკა 12. საქართველოს ამბები 12. ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა 13. წერილი აქარიდან 14. არჩევნები ავსტრიაში 16. აზერბეიჯანში 19. საქართველოს ამბები 20. მდინარესა და ღელეს შესახებ (სმა აფხაზეთიდან) 20. სარბინიდან 21. სპარსეთიდან 23. საქართველოდან 30. სპარსეთიდან 31. აქარიდან 35.

ნეკროლოგები.

მიტროპ. ნაზარი (ინგილოსი) 3. 1923 წ. მაისის 19 დახცილო მამულიშვილთა ხსოვნას 5. გენ. კ. ქუთათელაძე 5. კალ. ბერიძე 5. კ. ჩხვიძე 6. თავმჯდომარე (გვაზავანი), კარლოს ხსოვნას (ი. გობეჩიასი), ხალხის წარმომადგენელი (ქუმბურჩისი), კიდევ ერთი მსხვერპლი (ს. ფირ.), კ. ჩხვიძის დაკრძალვა 7. გ. მაღალაშვილი 9. კათალიკოსი მოქალაქე 16. პრ. მელიქიშვილის გარდაცვალება 16. კათალიკოსი ამბროსი (ინგილოსი) 17. წლისთავი (კ. ჩხვიძის გარდაცვალების გამო) 18. შ. სარჯველაძე 18. ქრ. ყორდანისა გარდაცვალების გამო 17. კათალიკ. პანაშვიდი 20. ჯ. ემუხვარი 20. ნ. გოგუტაძე 21. ე. გეგუქკარის შვილის გარდაცვალება 21. გ. ადორი 28. კ. ჩხვიძის გარდაცვალების ორი წლ. თავი 30. კ. ჩხვიძე (მოგონება ქ. მარტენის) 30. ვ. შავიშვილი 30. გ. მახარაძე 30. გ. რუხაძე 31. ოლარი 34. ცალიკატი 35. გ. კახიანი 36.

სხვადასხვა.

უცხოეთის მიმოხილვა 1-36. რას სწერენ ბოლშევიკებზე 29—26, 31—36. წერილები რედ. მიმართ 1, 2, 8, 11, 13, 16, 21, 31, 32, 34. საბჭოთა საქართველოში 2—4, 6, 10, 11, 13, 34—36. უკრაინელთა განმათავ. ბრძოლა (შტრაუსის) 26. დელამარის სიტყვა უკრაინის შესახებ 28. უკრაინა და რუსეთი (ა. შულგინის) 36. ქართული პროცესი (ვეშაპელის მოკვლის გამო) 19. მთავრობის და პარტიათა წარმომადგ. დადგენილებანი 20. საელჩოს განცხადება 24. მთავრობის თავმჯდომარის წერილი 24. დეკლარაცია პარტია წარმომ. 24. კავკასიის დამოუკ. კომიტ. განცხადება 24. ეროვნულ-დემ. პარტიის განცხ. 24. რუსეთის ამბები 8, 9, 10, 26.—კავკასიის დამ. კომიტეტ. მოწოდება 17. ფრანგი მოგზაურები საქართველოში 18. «პრომეთე» 12—15, 17, 19. მესამე ინტერნაციონალის ფარული საქმეები 4. ფრანგული ტრაგედია საქართ. ისტორიიდან 8. თეთრი გიორგი 9. და სხ.

Redaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.